




# შენაბჯანისთვის აუდიტის ანგარიში



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ვამბკივებ“

ადგილობრივი თვითმმართველი  
ერთეულების ბიუჯეტების აუდიტის  
დეპარტამენტის უფროსი  
გიორგი მამრიკიშვილი

  
“ 11 ” “ 01 ” 2019 წელი  
N 6/36

ეგზ: N:1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის  
2016-2017 წლების ბიუჯეტებით  
გათვალისწინებული პროგრამების  
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

<b>სარჩევი</b>	
<b>გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები.....</b>	<b>3</b>
<b>შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები.....</b>	<b>4</b>
<b>შესავალი .....</b>	<b>10</b>
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა .....	10
აუდიტორის პასუხისმგებლობა .....	10
აუდიტის საგანი .....	11
აუდიტის მასშტაბი .....	11
აუდიტის კრიტერიუმები .....	11
აუდიტის მიზანი.....	12
აუდიტის მეთოდოლოგია .....	12
ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ .....	13
<b>აუდიტის მიგნებები.....</b>	<b>16</b>
ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია .....	16
უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები .....	16
დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები.....	24
გამარტივებულ შესყიდვებში არსებული შეუსაბამობები .....	28
საბიუჯეტო პროცესი.....	30
ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებები.....	30
სარეზერვო ფონდის არამიზნობრივი ხარჯვა .....	33
ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენაში გამოვლენილი ხარვეზები.....	34
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება .....	36
სამშტატო რიცხოვნობა დადგენილი ნორმის დარღვევით .....	36
თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან ზედმეტად ანაზღაურებული თანხები .....	37
ინტერესთა შეუთავსებლობა .....	39
შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა დადგენილი ზღვრების დარღვევით.....	40
დაუსაბუთებლად გაცემული საწვავი.....	42
გამოყენებული აღრიცხვის ელექტრონული სისტემა .....	43
საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები .....	44
შესყიდვების მართვა.....	46
აფიდავიტი.....	46
ინტერესთა კონფლიქტი .....	48
ზედმეტად ანაზღაურებული თანხა.....	50
მონეტარული ზღვრების დარღვევა .....	51
მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირები.....	53
ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება.....	56
შიდა აუდიტი .....	58
აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი .....	59

### გამოყენებული ტერმინები და შემოკლებები

- ⌋ მუნიციპალიტეტი - ლენტეხის მუნიციპალიტეტი;
- ⌋ მერია - ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერია;
- ⌋ საკრებულო - ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო;
- ⌋ ა(ა)იპ - არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი;
- ⌋ შპს - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება;
- ⌋ ი/მ - ინდივიდუალური მეწარმე.

## შემაჯამებელი მიმოხილვა და რეკომენდაციები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი სახის ნაკლოვანებები:

- 1) ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა 4 შემთხვევაში გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების ჩაბარება. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტებით მოსახლეობა ვერ სარგებლობს.
- 2) მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამართლებრივი ღონისძიებები. შედეგად, სუსტი კონტროლის მექანიზმების გამო, ორ შემთხვევაში ვერ უზრუნველყო ობიექტის დასრულება.
- 3) მუნიციპალიტეტმა რიგი სამშენებლო სამუშაოები შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. ობიექტები ჩაბარებულია და ანგარიშსწორება განხორციელებულია ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე, რაც ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.
- 4) საბიუჯეტო პროცესის წარმართვაში არსებულმა მართვის სისუსტეებმა, წარმოშვა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზები მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვაში, ბიუჯეტის წლიური შესრულების ანგარიშის შედგენასა და სარეზერვო თანხების ხარჯვის საკითხში.
- 5) მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული საშტატო ნუსხა აღემატება თვითმმართველობის კოდექსით დადგენილ ზღვრულ ნორმას. ასევე, შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა რაოდენობაც აჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმას. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად, რაც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.
- 6) აქტივების მართვაში არსებული სუსტი კონტროლის გამო, მუნიციპალიტეტმა საწვავი გასცა შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენის გარეშე. აღნიშნული გარემოება წარმოშობს რისკს იმისა, რომ

შესაძლოა საწვავი გამოყენებული იქნა არა სამსახურებრივი, არამედ პირადი საჭიროებისთვის.

- ს) მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები ანაზღაურებულია მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით, შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე.
- ს) ჩატარებული ტენდერების შესწავლით გამოვლინდა შემთხვევები, როცა მეტი ფინანსური სარგებლის მისაღებად ტენდერში მონაწილე პირები სავარაუდოდ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით და არღვევდნენ კანონმდებლობით განსაზღვრულ აფიდავიტის მოთხოვნებს, რამაც გამოიწვია საბიუჯეტო რესურსის არაეკონომიური ხარჯვა.
- ს) ლენტეხის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის წევრი ინტერესთა კონფლიქტში იმყოფებოდა შემსრულებელ კომპანიასთან. აღნიშნული ურთიერთობების არსებობა გავლენას ახდენს ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირების საქმიანობის პირობებსა და ეკონომიკურ შედეგებზე, რაც წარმოშობს მიმწოდებელი კომპანიის მიმართ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.
- ს) მუნიციპალიტეტმა დააფუძნა ისეთი იურიდიული პირები, რომლებიც ეწევიან ადგილობრივი ორგანოების მიერ შესასრულებელ საქმიანობას. შესაბამისად მათი საქმიანობა დუბლირებულია. ამასთან დოკუმენტურად ვერ დასტურდება მათ მიერ განხორციელებული რაიმე სახის აქტივობები. შედეგად იურიდიული პირების შექმნაში, დაფინანსებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვა.
- ს) 2016-2017 წლებში ლენტეხის მუნიციპალიტეტში არ ხორციელდებოდა სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარებები. ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების აღრიცხვაში არსებული მართვის სისუსტეების შედეგად, არ არის შედგენილი ორგანიზაციის 2016-2017 წლების და წინა წლების პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები. აგრეთვე, არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია.

გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებების საპასუხოდ აუდიტის სამსახურმა გასცა შემდეგი რეკომენდაციები:

**რეკომენდაცია №1:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას მის საკუთრებაში არსებული ქონება და ამ მიზნით უნდა შეისწავლოს ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დაადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ევალუბოდა 2016-2017 წლებში დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კონტროლი, მათ მიმართ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №2:** მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. დაგეგმვისა და შესრულების ეტაპზე, მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ყველა საჭირო კონტროლის მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს პროექტის დროულ დასრულებას. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის და სამუშაოების დაუსრულებლობის შემთხვევაში დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ევალუბოდა 2016-2017 წლებში დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კონტროლი, მათ მიმართ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №3:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალუბოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

**რეკომენდაცია №4:** საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და გამოავლინოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მათ მიმართ, ვისი მიზეზითაც დაირღვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №5:** მუნიციპალიტეტის მერიამ საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები. ამასთან, მიზანშეწონილია მერიამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

**რეკომენდაცია №6:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანომ არ დაუშვას მერიისა და საკრებულოს აპარატის სამტატო რიცხოვნობის დამტკიცება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. აგრეთვე, მერიამ საჭიროა იმუშაოს საბიუჯეტო ორგანიზაციების ადმინისტრაციული ხარჯის შემცირების მიმართულებით.

**რეკომენდაცია №7:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მოსამსახურეებზე სამუშაოზე თანხების და კანონშესაბამოდ ხელფასების გაცემის ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადარიცხული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება.

**რეკომენდაცია №8:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას შრომითი ხელშეკრულებით დაქირავება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. ამასთანავე, ხელშეკრულებები გააფორმოს საჯარო სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

**რეკომენდაცია №9:** მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და განუხრელად შეასრულოს წესი საწვავის მიღების, გაცემისა და ხარჯვის შესახებ.



მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, საწვავის გაცემის ფაქტები, გამოავლინოს საწვავის გაცემასა და ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №10:** საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიამ ადადგინოს აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება. ამასთან, კონკრეტული საქონლის შესყიდვის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს მისი გამოყენების შემაფერხებელი გარემოებები. მუნიციპალიტეტმა დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №11:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

**რეკომენდაცია №12:** მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილოს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის რისკებზე. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალუბოდათ აფიდავიტის პირობების დარღვევის გამოვლენა და სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №13:** მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას ინფრასტრუქტურული სამუშაოების ზედამხედველობისა და მიღება-ჩაბარებისას, ინტერესთა კონფლიქტის პირობების დარღვევის ფაქტები. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №14:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მიმწოდებელზე თანხის ზედმეტად გადარიცხვის ფაქტი, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადარიცხული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება.

**რეკომენდაცია №15:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მდგომარეობა. განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს მსგავსი ტიპის ა(ა)იპ-ის საქმიანობით მიღებული სიკეთისა და მათი ფუნქციონირებისათვის დახარჯული სახსრების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მსგავსი ტიპის იურიდიული პირებისა და მასში არსებული საშტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

**რეკომენდაცია №16:** მუნიციპალიტეტის მერიამ სასწრაფოდ უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ მუნიციპალიტეტმა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №17:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

## შესავალი

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

ლენტეხის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.

### აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 4000) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს. სტანდარტი ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა არ შეიცავს მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით გონივრული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

## აუდიტის საგანი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტებით გათვალისწინებული პროგრამების შესაბამისობის აუდიტი.

## აუდიტის მასშტაბი

აუდიტის მასშტაბად განისაზღვრა ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ 2016-2017 წლებში ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში მუნიციპალიტეტის საქმიანობისა და ფინანსური რესურსების ხარჯვის მოქმედ კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობა. პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესაბამისობის აუდიტმა მოიცვა მუნიციპალიტეტის 2016-2017 წლების ბიუჯეტების გადასახდელები, ჯამში 10 209.0 ათასი ლარი.

## აუდიტის კრიტერიუმები<sup>1</sup>

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- )] ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი;
- )] შრომის კოდექსი;
- )] საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- )] საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- )] საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- )] „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;

<sup>1</sup> 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციის მიხედვით

- ქ) „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №61 დადგენილება;
- ქ) სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- ქ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი ხელისუფლების საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“;
- ქ) საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ და სხვ.

### აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) ჩამოყალიბდეს დასკვნა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

### აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესასწავლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- ქ) აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- ქ) სამართლებრივი რეაგირებების ღონისძიებების მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა;
- ქ) ინტერვიუები აუდიტის ობიექტის თანამშრომლებთან;
- ქ) მონაცემთა ანალიზი.

## ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

ლენტეხის მუნიციპალიტეტი არის დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც ჰყავს აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, აქვს საკუთარი ქონება და ბიუჯეტი. მუნიციპალიტეტი აერთიანებს 8 ტერიტორიულ ორგანოს<sup>2</sup>. თვითმმართველი ერთეულის ფართობია 1344 კვ/კმ. მოსახლეობის რიცხოვნობა შეადგენს 4.3 ათას კაცს<sup>3</sup>.

**მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი და საბიუჯეტო პროგრამები.** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მიერ ხაზინის მოდულში ჩაწერილ მონაცემებზე დაყრდნობით, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის შემოსულობებმა 10,798.1 ათასი ლარი, ხოლო გადასახდელებმა 10,209.0 ათასი ლარი შეადგინა. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ წარმოდგენილია ცხრილში.

**ცხრილი №1. ინფორმაცია შემოსულობების, გადასახდელების და ნაშთის ცვლილების შესახებ (ათასი ლარი)**

დასახელება	2016 წელი			2017 წელი			საკასო შესრულებების ჯამი
	გეგმა მუნიციპალიტეტის ხაზინაში შეყვანილი მონაცემი	საკასო შესრულება	შესრულ. %	გეგმა მუნიციპალიტეტის ხაზინაში შეყვანილი მონაცემი	საკასო შესრულება	შესრულ. %	
<b>შემოსულობები</b>	<b>5,442.7</b>	<b>5,083.5</b>	<b>93.4%</b>	<b>5,751.8</b>	<b>5,714.6</b>	<b>99.4%</b>	<b>10,798.1</b>
შემოსავლები	5,442.7	5,071.1	93.2%	5,751.8	5,696.1	99.0%	10,767.2
არაფინანსური აქტივების კლება	0.0	12.4	0.0%	0.0	18.5	0.0%	30.9
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენების გარდა)	0.0	0.0	0.0%	0.0	0.0	0.0%	0.0
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0%	0.0	0.0	0.0%	0.0
<b>გადასახდელები</b>	<b>5,569.3</b>	<b>5,251.7</b>	<b>94.3%</b>	<b>5,123.2</b>	<b>4,921.8</b>	<b>96.1%</b>	<b>10,173.5</b>
ხარჯები	3,256.8	3,099.2	95.2%	3,021.1	2,928.7	96.9%	6,027.9
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,264.0	2,122.4	93.7%	2,065.2	1,961.9	95.0%	4,084.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის დაგროვების გარდა)	0.0	0.0	0.0%	0.0	0.0	0.0%	0.0
ვალდებულებების კლება	48.5	30.1	62.1%	36.9	31.2	84.6%	61.3
<b>ნაშთის ცვლილება</b>	<b>-126.6</b>	<b>-168.2</b>		<b>628.6</b>	<b>792.8</b>		

<sup>2</sup> mreg.reestri.gov.ge

<sup>3</sup> www.geostat.ge; www.budgetmonitor.ge, 2017 წლის საშუალო წლიური მაჩვენებელი

ლენტეხის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესის შესწავლისას გამოვლინდა მნიშვნელოვანი დარღვევები. შეიძლება ითქვას, რომ ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების პროცესი პრაქტიკულად მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით მიმდინარეობს. საკრებულოში წარდგენილი, დამტკიცებული, საკანონმდებლო მაცნეში ატვირთული ბიუჯეტების და სახაზინო პროგრამაში ატვირთული მონაცემების ანალიზით ვერ დგინდება, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა რა დაგეგმა. მნიშვნელოვანი თანხობრივი განსხვავებებია საბიუჯეტო პროგრამის თითქმის ყველა მუხლში. 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა 3, ხოლო 2017 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში 4 ცვლილება. დოკუმენტებში არის ისეთი ცდომილებები, რომლის შედეგადაც ვერ დგინდება რომელი მონაცემია სწორი. მაგალითად: 2016 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ბალანსის ფორმაში გადასახდელების ჯამი დაგეგმილია 5,747.5 ათასი ლარით<sup>4</sup>, იგივე დოკუმენტში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელების გეგმაა 5,947.5 ათასი ლარი. განსხვავებულია ხაზინის ამონაწერის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა, რომელიც შეადგენს 5,569.3 ათას ლარს. 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის ბალანსის ფორმაში გადასახდელების ჯამი შეადგენს 3,013.7 ათას ლარს, იგივე დოკუმენტში ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით გადასახდელების გეგმაა 5,652.0 ათასი ლარი. ხაზინის ამონაწერის თანახმად კი მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმაა 5,123.2 ათასი ლარი. ანალოგიური მდგომარეობა როგორც სხვა მუხლებში (არაფინანსური აქტივები, ხარჯები, საქონელი და მომსახურება და სხვა) აგრეთვე წლის განმავლობაში დაზუსტებულ ბიუჯეტებშიც. შესაბამისად შეუძლებელია დადგინდეს კონკრეტულად რა დაგეგმა მუნიციპალიტეტმა, თითოეული მუხლის მიხედვით და რომელი მონაცემია სწორი (ხაზინის პროგრამაში გეგმის მონაცემები მუნიციპალიტეტს შეაქვს). შესრულების საკასო ხარჯი კონტროლდება სახელმწიფო ხაზინის მიერ, შესაბამისად ხარჯვით მონაცემებზე დაყრდნობა შესაძლებელია.

ხაზინის ამონაწერის მიხედვით, 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ნაშთი შეადგენდა 310.5 ათას ლარს. 2016 წელს მუნიციპალიტეტმა დაგეგმა 126.6 ათასი ლარის გამოყენება. წარმოდგენილი მონაცემებით ნაშთის გამოყენებამ შეადგინა 168.2 ათასი ლარი. ხაზინის ამონაწერით, 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 142.3 ათას ლარს. მიუხედავად ამისა, მუნიციპალიტეტმა დაგეგმა ნაშთის დაგროვება 628.6 ათასი ლარი, წლის ბოლოს ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 792.8 ათასი ლარი.

ამდენად, ლენტეხის მუნიციპალიტეტში საბიუჯეტო პროცესი ვერ პასუხობს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. 2016-2017 წლების ბიუჯეტები

<sup>4</sup> ხარჯების, არაფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების ჯამი

დაგეგმილია არასწორად და არაკვალიფიციურად. ბიუჯეტები არ ასახავს მუნიციპალიტეტის ფინანსურ მდგომარეობას და შეუძლებელია მის მონაცემებზე დაყრდნობა. შესაბამისად, მინიმუმ საჭიროა საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის მოსამსახურეთა გადამზადება ამ მიმართულებით.



## აუდიტის მიგნებები

### ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

#### უხარისხოდ შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით შესრულებული ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა იყოს ხარისხიანი, მისგან მიღებული შედეგი დადებითად უნდა აისახებოდეს მოსახლეობაზე და გონივრულ პერიოდში შესაძლებელი უნდა იყოს ამ შედეგით სარგებლობა. ინფრასტრუქტურული პროექტების გრძელვადიან პერიოდში სარგებლობა დამოკიდებულია შესრულებული სამუშაოების ხარისხზე. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ვალდებულია ჩაიბაროს ხარისხიანი სამუშაოები, რომლებიც შეესაბამება სამშენებლო ნორმებითა და სტანდარტებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. აღნიშნულის უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტს შეუძლია, როგორც შიდა კონტროლის სისტემის გამართვით, ასევე სამუშაოების ხარისხზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარებით.

საზედამხედველო კომპანია ვალდებულია, ყოველი კონკრეტული ობიექტისათვის, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების დაწყებიდან ჩაერთოს პროცესში და აწარმოოს განხორციელებული სამუშაოების ხარისხის კონტროლის ყოველდღიური ზედამხედველობა. მშენებლობის ტექნიკური ზედამხედველობის პერიოდში, ყოველთვიურად, საზედამხედველო კომპანიამ უნდა წარუდგინოს შემსყიდველს, პროექტების მიმდინარეობის მოკლე ანგარიში, რომელშიც შეჯამებული იქნება ზედამხედველი გუნდის მიერ წინა თვეში შესრულებული სამუშაო, მათ შორის წარმოშობილი პრობლემები და რეკომენდებული მისაღები ზომები.

#### ხერიის ხიდის რეაბილიტაციაზე გამოვლენილი ნაკლოვანებები

**გამოვლენილი გარემოება:** 2017 წლის 17 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს TU-KA-ს, სოფელ ხერიის ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, ღირებულებით 64.2 ათასი ლარი<sup>5</sup>. საპროექტო ხარჯთაღრიცხვა გულისხმობდა, რომ უნდა გამაგრებულიყო 4 ბურჯი, ღირებულებით 38.3 ათასი ლარი, ხოლო სავალი ნაწილი უნდა მოწყობილიყო ლითონის ფურცლებით, ღირებულებით 25.9 ათასი ლარი. ხელშეკრულების მიხედვით, სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2018 წლის 6 იანვარი.

<sup>5</sup> ხელშეკრულება №137, NAT170012106

ტენდერის შესწავლით გამოვლინდა, რომ ხიდი იყო 65 მ სიგრძის და მის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ბურჯების გამაგრება. საწყის ეტაპზე, მიმწოდებელმა სამუშაოები დაიწყო არა ბურჯების გამაგრებით, არამედ ხიდის სავალი ნაწილის მოწყობით და ტრანშეის ამოღებით. 2017 წლის 13 დეკემბრის მდგომარეობით, მიმწოდებელმა შეასრულა ხიდის სავალ ნაწილზე დაზიანებული ხის ფიცრების დემონტაჟი, ხოლო სავალი ნაწილი ლითონის ფურცლების ნაცვლად, მოაწყო ხის ფიცრებით. ასევე, განახორციელა ლითონის ხიდის დემონტაჟი - მონტაჟი 20მ სიგრძეზე და ტრანშეის ამოღება წყლის გადასაგდებად, ხიდის მარჯვენა ბურჯის მოწყობისათვის. სამუშაოების ამგვარ წარმართვას დაეთანხმნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. მიმწოდებელმა სამუშაოების დასრულება ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ნაცვლად მიმწოდებლის დაჯარიმებისა, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სამუშაოების 2018 წლის 1 აპრილიდან განახლების შესახებ.

2018 წლის მაისში, საპროექტო ორგანიზაციასთან შეთანხმებით, მუნიციპალიტეტმა პროექტი ისეთი სახით შეცვალა, რომ ნაცვლად 4 ბურჯისა, უნდა გამაგრებულიყო მხოლოდ 1 ბურჯი. მუნიციპალიტეტს 4 ბურჯის გამაგრებაზე უნდა დაეხარჯა 38.3 ათასი ლარი, ფაქტიურად კი 1 ბურჯი გაამაგრა და დახარჯა 45.6 ათასი ლარი. გარდა ამისა, ლითონის ფურცლებით მოწყობაზე უნდა დახარჯულიყო 25.9 ათასი ლარი, ნაცვლად ამისა, ხის ფიცრებით სავალი ნაწილის მოწყობაზე გადაიხადა 18.6 ათასი ლარი. შესაბამისად, როგორც ხიდის ბურჯების (4 ნაცვლად 1 ბურჯი) ასევე სავალი ნაწილის (ლითონის ნაცვლად ხის ფიცრები) მიმართულებით გაუარესდა შემსყიდველის მდგომარეობა. აღნიშნული მმართველობითი გადაწყვეტილების არაეფექტიანობაზე მიანიშნებს. მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 2018 წლის ივლისში, რისთვისაც მიმწოდებელს სრულად აუნაზღაურდა სახელშეკრულებო ღირებულება - 64.2 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმისა, თუ რატომ დაიწყო მიმწოდებელმა სამუშაოები არათანმიმდევრულად - ხიდის სავალი ნაწილის მოწყობით, როდესაც ხიდის მთავარ პრობლემას წარმოადგენდა ბურჯების გამაგრება და რატომ მოხდა 4 ბურჯის ნაცვლად, მხოლოდ 1 ბურჯის გამაგრება. აღნიშნულით, თავიდანვე არსებობდა იმის რისკი, რომ ხიდი დაზიანდებოდა, რაც დადასტურდა ფაქტობრივი გარემოებით.

2018 წლის 13 სექტემბერს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა ხერიის ხიდი. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ხერიის ხიდის მარცხენა ბურჯის 2 ბოძი დაზიანებულია, ერთი ნაწილი გაღუნულია, ხოლო მეორე ნაწილი ძირში გატეხილია. გარდა ამისა, დაზიანებულია ხიდის სავალ ნაწილზე არსებული

ფიცარნავი. აღნიშნულის გამო, არსებული ხიდი არ ფუნქციონირებს, რადგან საფრთხეს შეიცავს მასზე სატრანსპორტო საშუალებით გადაადგილება.

სურათი №1: ხერის ხიდი



ამდენად, მუნიციპალიტეტმა ხიდის შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ ვერ უზრუნველყო პროექტის მიხედვით სამუშაოების წარმოება. ნაცვლად 4 ბურჯის გამაგრებითი სამუშაოებისა, ჩატარდა მხოლოდ 1 ბურჯის გამაგრება. გარდა ამისა, მერიამ არ დააჯარიმა მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის. შედეგად, ხიდი დაზიანდა და ვერ ხერხდება მასზე ტრანსპორტით გადაადგილება.

აუდიტის ჯგუფმა მერიას მოსთხოვა, მიმწოდებლის მიერ მასალების ტრანსპორტირების დამადასტურებელი სასაქონლო ზედნადებები. წარმოდგენილი ზედნადებების დათვლის შედეგად გამოვლინდა სხვაობები. კერძოდ, მიმწოდებელმა 2017 წლის ნოემბერ დეკემბერში ობიექტზე მიიტანა 13.8 მ<sup>3</sup> ხის მასალა, ხოლო შესრულებული სამუშაოების აქტში მითითებულია 21.7 მ<sup>3</sup> ხის მასალის გამოყენება. შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ 7.9 მ<sup>3</sup> ხის მასალის გამოყენება დოკუმენტურად არ დასტურდება. მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს შეუსრულებელ სამუშაოში აუნაზღაურა 5.5 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით<sup>6</sup>, ხიდები მიეკუთვნება განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებს. კანონმდებლობა ითვალისწინებს<sup>7</sup> ხიდების სავალდებულო საექსპერტო შეფასებას. აღნიშნული გულისხმობდა საინჟინრო გეოლოგიური კვლევის ჩატარებას, ფუძეების, საძირკვლებისა და სხვა ძირითადი

<sup>6</sup> „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება

<sup>7</sup> „განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობის პროექტების სავალდებულო ექსპერტიზის ჩატარების დროებითი წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №61 დადგენილება

კონსტრუქციების შეფასებას. მერიამ ვერ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვნა, ხერის ხიდის საექსპერტო კვლევის და შეფასების შესახებ.

### **დასკვნა**

ამდენად, აღნიშნული ხარვეზების ერთობლიობამ გამოიწვია ხიდის დაზიანება. მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები ვერ დაგეგმეს ყველა საჭირო კონტროლის მექანიზმის გათვალისწინებით, რომლითაც უზრუნველყოფილი იქნებოდა ინფრასტრუქტურული პროექტის შესაბამისობა სამშენებლო ნორმებთან და სტანდარტებთან. დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია უხარისხოდ შესრულებული პროექტის ჩაბარება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა ხიდის რეაბილიტაციაზე დახარჯა 64.2 ათასი ლარი, ობიექტი დაზიანებულია და საჭიროებს ადდგენითი სამუშაოების ჩატარებას. პრობლემის მოსაგვარებლად მუნიციპალიტეტის მხრიდან არ არის გატარებული რაიმე სახის ქმედითი ღონისძიებები.

### *ჩიხარეში სანიაღვრე სისტემის მოწყობის ხარვეზები*

**გამოვლენილი გარემოება:** 2015 წლის 2 სექტემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა ი/მ „გიგლა ჩანქსელიანს“ ჩიხარეშის თემში კაპიტალური სანიაღვრე არხების მოწყობასა და გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებით, ღირებულებით 36.5 ათასი ლარი<sup>8</sup>. სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2015 წლის 2 ნოემბრამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, 2015 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით, მიმწოდებელმა მოაწყო 305 მ სიგრძის კაპიტალური სანიაღვრე არხი, რაშიც მუნიციპალიტეტმა გადაიხადა 20.4 ათასი ლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების ვადის დარღვევისათვის, მიმწოდებელს უნდა მოეხდინა მიმწოდებლის დაჯარიმება, ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.4%-ის ოდენობით. ნაცვლად ამისა, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება დანარჩენი სამუშაოების დასრულების ვადის 2016 წლის 31 მარტამდე გაგრძელების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ მუნიციპალიტეტი მიმწოდებელს დააჯარიმებდა 2016 წლის 31 მარტამდე, დასარიცხი პირგასამტეხლოს ოდენობა შეადგენდა 21.9 ათას ლარს<sup>9</sup>. თუმცა

<sup>8</sup> ხელშეკრულება №200, SPA150022231

<sup>9</sup> 150 დღე X 0.4% X 36.5 ათასი ლარი

მიმწოდებელმა სამუშაოები არ გააგრძელა. იმის გათვალისწინებით, რომ მიმწოდებელმა სამუშაოები არ შეასრულა, პირგასამტეხლოს ოდენობა კიდევ უფრო მაღალია.

2016 წლის 24 მაისს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს სანიაღვრე არხი. აღმოჩნდა, რომ სამუშაოები შესრულდა უხარისხოდ, ბეტონი დაშლილი იყო. 2016 წლის 8 ივლისს ი/მ „გიგლა ჩანქსელიანს“ ეცნობა სამუშაოების გამოსწორების თაობაზე. თუმცა მიმწოდებელმა ხარვეზები არც საგარანტიო პერიოდში და არც შემდგომ არ გამოასწორა.

#### სურათი №2: სოფელ ჩიხარეში გზის და სანიაღვრის მოწყობა



აღნიშნულ პროექტზე დარჩენილი თანხით, 2017 წლის 20 იანვარს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „თაგის“, სოფელ ჩიხარეში შიდა სასოფლო გზაზე არსებული ჩამონაშალის გრუნტის მოჭრა-გატანის შესახებ, ღირებულებით 13.3 ათასი ლარი<sup>10</sup>. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში შემსრულებელმა უზრუნველყო ი/მ „გიგლა ჩანქსელიანის“ მიერ უხარისხოდ მოწყობილი სანიაღვრე არხის სამშენებლო ნაგავის გატანა<sup>11</sup>. დღეის მდგომარეობით სოფელ ჩიხარეში სანიაღვრე არხი მოუწყობელია. სამშენებლო ნაგავის გატანის შემდგომ, მოსაწყობი სანიაღვრე არხის მიმდებარე ტერიტორია მოუწყვსრიგებელია.

მუნიციპალიტეტს სხვა რაიმე ღონისძიება არ გაუტარებია პრობლემის მოსაგვარებლად. კერძოდ: არ ჩაუტარებია შესრულებული სამუშაოების მოცულობებისა და ხარისხის ექსპერტიზა, არ დაუჯარიმებია მიმწოდებელი სამუშაოების შეუსრულებლობისათვის და

<sup>10</sup> ხელშეკრულება №9, №AT160004890

<sup>11</sup> სამშენებლო ნაგავის გატანაზე კონკრეტულად რა თანხა დაიხარჯა, მუნიციპალიტეტმა ვერ მოგვაწოდა ინფორმაცია

მისგან არ მოუთხოვია მიყენებული ზიანის ანაზღაურება, არ მიუმართავს შესყიდვების სააგენტოსათვის მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით.

### დასკვნა

ამდენად, ინფრასტრუქტურული პროექტის დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა განაპირობა უხარისხო სამუშაოების ჩაბარება. ინფრასტრუქტურული პროექტის მშენებლობის მიზანს წარმოადგენდა შიდა სასოფლო გზის მოწყობა შესაბამისი სანიაღვრე არხით, რითაც ისარგებლებდა მოსახლეობა. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტმა დახარჯა 20.4 ათასი ლარი, პროექტი პრაქტიკულად არ არსებობს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ დახარჯული თანხა წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს.

### *ჭველფის მწყობრიდან გამოსული წყალსადენის სისტემა*

**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტმა 2016 წელს ხელშეკრულება გააფორმა შპს „მონტეკრისტო 3-თან“ ღირებულებით 80.8 ათასი ლარი.<sup>12</sup> ხელშეკრულება გულისხმობდა ჩოლურის თემის სოფლებში თეკალი, ჭველფი, მამი (ედიყი) და ჭველიერი (II ფაზა) წყალსადენების რეაბილიტაციას. ხელშეკრულების ფარგლებში 2016 წლის 11 აგვისტოს გაფორმებულია საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით მიმწოდებელმა სრულად შეასრულა ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული სამუშაოები. სოფელ ჭველფში წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის მიმწოდებელს აუნაზღაურდა 29.4 ათასი ლარი.

2018 წლის 13 სექტემბერს, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა სოფელ ჭველფში წყლის სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები. გამოვლინდა, რომ მოწყობილი სისტემიდან მოსახლეობას წყალი არ მიეწოდება. მოსახლეობის განმარტებით, მათ სასმელი წყალი 2-3 თვის განმავლობაში ჰქონდათ, შემდგომ ბოლო ერთი წელია მათ წყალი არ მიეწოდებათ. მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა ვერ მოგვაწოდეს ინფორმაცია, თუ რატომ არ ჰქონდა მოსახლეობას წყალი.

### დასკვნა

პროექტზე არსებული ხარვეზების გამომწვევ რეალურ მიზეზებს, შეიძლება წარმოადგენდეს სამუშაოების არასათანადო დაგეგმვა, უხარისხოდ შესრულება, დაზიანება

<sup>12</sup> ხელშეკრულება №92. SPA160012703

ან/და არასწორი მოვლა-პატრონობა. თვითმმართველ ერთეულს არ შეუსწავლია წყლის სისტემაზე არსებული ხარვეზების გამომწვევი რეალური მიზეზი და პრობლემის მოსაგვარებლად არ გაუტარებია შესაბამისი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა არსებულ ხარვეზზე არასათანადო რეაგირებების გამო, ვერ უზრუნველყო დასახული მიზნების მიღწევა. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის წყალმომარაგებისათვის დაიხარჯა 29.4 ათასი ლარი, წყლის სისტემა გამოუყენებელია და მოსახლეობა შესრულებული სამუშაოებით 1 წელზე მეტია ვერ სარგებლობს.

### *დაზიანებული გზის ასფალტი*

**გამოვლენილი გარემოება:** 2016 წლის 16 მაისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „ჯეოსერვისს“ ლენტეხის ქუჩების რეაბილიტაციასთან და მინერალური წყლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობასთან დაკავშირებით, ღირებულებით 326.0 ათასი ლარი<sup>13</sup>. ხელშეკრულება ითვალისწინებდა შესრულებულ სამუშაოებზე მოცულობისა და ხარისხის ექსპერტიზას, რომელიც უნდა წარმოედგინა მიმწოდებელს.

მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 2016 წლის 27 სექტემბერს. შესწავლით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა წარმოადგინა ჩატარებული სამუშაოების მოცულობების ექსპერტიზის დასკვნა, ხოლო სამუშაოების ხარისხის შემოწმება არ მომხდარა. მიუხედავად ამისა, მერიის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა მაინც ჩაიბარეს სამუშაოები. შესაბამისად, მიმწოდებელს აუნაზღაურდა სრული სახელშეკრულებო ღირებულება.

2018 წლის 13 სექტემბერს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა დასრულებული სამუშაოები. გამოვლინდა, რომ ჭავჭავაძის ქუჩაზე (ხმალთან) ზოგიერთ მონაკვეთზე ასფალტის საფარი დაზიანებულია და საჭიროებს შეკეთებას.

<sup>13</sup> ხელშეკრულება №73, SPA160007990

## სურათი №3: ჭავჭავაძის ქუჩა (ხმალოან)



მიუხედავად იმისა, რომ ასფალტი ზოგიერთ მონაკვეთებზე დაზიანებული იყო, მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა გატარებული შესაბამისი ღონისძიებები გზის საფარის აღდგენის მიზნით. მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა შესწავლილი აღნიშნული დაზიანების გამომწვევი მიზეზები. კერძოდ, არ ჩატარა ასფალტის საფარის ხარისხის ექსპერტიზა. შესაბამისად, ინფრასტრუქტურული პროექტის შესრულებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა გამოიწვია უხარისხო სამუშაოების ჩაბარება.

### დასკვნა

მუნიციპალიტეტი ვალდებული იყო დაედგინა გზის დაზიანების მიზეზები, გამოეკვლინა პასუხისმგებელი პირები და ზარალის ანაზღაურების მიზნით, მათ მიმართ გაეტარებინა შესაბამისი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტს აღნიშნული ღონისძიებები არ განუხორციელებია, შედეგად ჭავჭავაძის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გარკვეულ მონაკვეთებზე დაზიანებულია და მოსახლეობას მიეწოდება შეფერხებით.



**რეკომენდაცია №1:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეიმუშაოს და დანერგოს კონტროლის მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიანი პროექტების ჩაბარებას. მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას მის საკუთრებაში არსებული ქონება და ამ მიზნით უნდა შეისწავლოს ინფრასტრუქტურული პროექტების მდგომარეობა. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის შემთხვევაში დაადგინოს დაზიანებების გამომწვევი მიზეზები, აგრეთვე პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ევალუბოდა 2016-2017 წლებში დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კონტროლი, მათ მიმართ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

### **დაუსრულებელი ინფრასტრუქტურული პროექტები**

#### *ახალგაზრდობის სახლის მშენებლობაზე გამოვლენილი ხარვეზები*

**კრიტერიუმი:** ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების მიზანს მოსახლეობის კონკრეტული საჭიროებების დაკმაყოფილება და სარგებლის მიღება წარმოადგენს. კონკრეტული პროექტის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს ყველა ის ფაქტორი, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. ასევე, გაითვალისწინოს საჭირო ფინანსური და მატერიალური რესურსების რაოდენობა და შესაბამისად განსაზღვროს მიზნის მიღწევის შესაძლებლობა. მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს დაგეგმილი პროექტების დასრულება.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016 წლის 18 აპრილს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს „უნიქსი UNIX-თან“ დაბა ლენტეხში ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობასთან დაკავშირებით, ღირებულებით 324.6 ათასი ლარი<sup>14</sup>. 2017 წლის ივლისში მიმწოდებელმა დაასრულა სამუშაოები. 2017 წლის 18 ივლისის მდგომარეობით, მუნიციპალიტეტმა მიმწოდებელს აუნაზღაურა 297.2 ათასი ლარი.

ხელშეკრულების მიხედვით, საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, მიმწოდებელს უნდა წარმოედგინა ექსპერტიზის დასკვნა შესრულებული სამუშაოების მოცულობებსა და ხარისხზე. აღნიშნული დასკვნა მიმწოდებელს მუნიციპალიტეტისთვის არ წარუდგენია. შესაბამისად, თვითმმართველმა ერთეულმა საბოლოოდ სამუშაოები არ ჩაიბარა.

<sup>14</sup> ხელშეკრულება №53, SPA160007498

2018 წლის 18 სექტემბერს, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად, აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა ახალგაზრდობის ცენტრი. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ ახალგაზრდულ ცენტრში დაგებული ლამინატის იატაკი არის ალაგ-ალაგ დაზიანებული (ამობურცული), მეორე სართულის აივნებიდან ბეტონის ბათქაში არის ძირს ჩამოყრილი, შენობის წინაფასადზე - კიბის გვერდით დამონტაჟებული მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის ბლოკი არის მერყევი და შენობაზე არ არის მყარად დამაგრებული. მიმწოდებლის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულებიდან გასულია 15 თვე. მიუხედავად ამისა, ხარვეზების აღმოსაფხვრელად მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია სათანადო ღონისძიებები. კერძოდ: არ მიუმართავს მიმწოდებლისათვის ობიექტზე წარმოქმნილი დაზიანებული ადგილების გამოსასწორებლად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის არ მიმართა შესყიდვების სააგენტოს მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებასთან დაკავშირებით, არ ჩაუტარებია შენობის ხარისხის ექსპერტიზა.

სურათი №4: ახალგაზრდობის ცენტრი



გარდა ამისა, შენობაში არ არის ელექტრო ენერგია, ქსელზე არ არის მიერთებული წყლის და გათბობის სისტემა (შენობაში არ არის წყალი), არ ფუნქციონირებს კანალიზაციის

სისტემა. აღნიშნული სამუშაოები ხარჯთაღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული. კომუნალური სისტემების მოწესრიგება, მშენებლობის დასრულების შემდგომ, მუნიციპალიტეტს უნდა უზრუნველყო, თუმცა მათ მიერ შესაბამისი ღონისძიებები 15 თვეა არ გატარებულა. შედეგად ახალგაზრდობის ცენტრი პრაქტიკულად უფუნქციოა.

### დასკვნა

ამდენად, ინფრასტრუქტურული პროექტების დაგეგმვაში, შესრულებასა და კონტროლში არსებულმა მართვის სისუსტეებმა განაპირობა ის, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ უზრუნველყო ობიექტის დასრულება. მიუხედავად იმისა, რომ პროექტის მშენებლობაზე დაიხარჯა 297.2 ათასი ლარი, მოსახლეობა ვერ სარგებლობს აღნიშნული სიკეთით.

### *მუზეუმის რეკონსტრუქციაზე არსებული ნაკლოვანებები*

**გამოვლენილი გარემოება:** 2017 წლის 11 ივლისს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „დრიმ ბილდინგ კომპანის“, დაბა ლენტეხში ლ. მუსელიანის სახელობის მუზეუმის რეკონსტრუქციისა და სოფელ ხაჩეშში ტვიზლენდის მუზეუმის გამაგრების სამუშაოების თაობაზე, ღირებულებით 97.4 ათასი ლარი<sup>15</sup>. ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოები უნდა დასრულებულიყო 2017 წლის 28 ნოემბერს, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2017 წლის 30 დეკემბერი.

2017 წლის 9 ნოემბრის მდგომარეობით, მიმწოდებელმა შეასრულა 38.1 ათასი ლარის სამუშაო, რაც ანაზღაურებული იქნა მუნიციპალიტეტის მიერ.

2017 წლის 22 ნოემბერს შპს „დრიმ ბილდინგ კომპანიმ“, მოითხოვა სამუშაოების დასრულების ვადის გადაწევა 15 დღით. ვადის გადაწევის მოტივი არ არის წარმოდგენილი. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, ნაცვლად იმისა, რომ დაეჯარიმებინა მიმწოდებელი, 2017 წლის 5 დეკემბერს, მუნიციპალიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება სამუშაოების შეჩერების და 2018 წლის 1 აპრილიდან მშენებლობის განახლების შესახებ<sup>16</sup>. თუმცა სამუშაოების ვადის გაგრძელების შესახებ, ხელშეკრულებაში ცვლილება არ განხორციელებულა, მხარეებს შორის არ გაფორმებულა ურთიერთშეთანხმების აქტი.

<sup>15</sup> ხელშეკრულება №80, NAT170006382

<sup>16</sup> 2017 წლის 5 დეკემბრის გამგებლის ბრძანება №285

2018 წლის 12 სექტემბერს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებთან ერთად აუდიტის ჯგუფმა დაათვალიერა ობიექტი. გამოვლინდა, რომ დაბა ლენტეხში მუზეუმის მშენებლობის სამუშაოები არ არის დასრულებული.

**სურათი №5: მუზეუმის მშენებლობა**



წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით ირკვევა, რომ 2018 წელს მიმწოდებელმა შეასრულა 12.7 ათასი ლარის სამუშაო. მუნიციპალიტეტმა 2018 წლის განმავლობაში რამდენჯერმე გააფრთხილა მიმწოდებელი, რომ სამუშაოების შეუსრულებლობისათვის დაჯარიმდებოდა. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელმა სამუშაოები არ დაასრულა. პრობლემის მოსაგვარებლად, სხვა ღონისძიებები მუნიციპალიტეტს არ გაუტარებია.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული, ობიექტის მიწოდების დასრულების ეტაპზე, შპს „დრიმ ბილდინგ კომპანის“ შესრულებული ჰქონდა სამუშაოების მხოლოდ 39%. ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, მუნიციპალიტეტს უნდა გამოეყენებინა ხელშეკრულებით განსაზღვრული სანქციები. კერძოდ, უნდა მოეხდინა პირგასამტეხლოს დარიცხვა, რაც შეადგენდა შეუსრულებელი ვალდებულების 10%-ს - 5.7 ათას ლარს. ასევე უნდა მიემართა შესყიდვების სააგენტოსათვის მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების მოთხოვნით.

**დასკვნა**

ამდენად, ინფრასტრუქტურული პროექტის შესყიდვის პროცესი მუნიციპალიტეტმა წარმართა იმგვარად, რომ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის მიმართ არ გამოიყენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ღონისძიებები. მიიღო უსაფუძვლო გადაწყვეტილება და მიმწოდებელს მისცა ნება სამუშაოები განეახლებინა 2018 წლის 1 აპრილიდან. მიმწოდებელმა სამუშაოები მაინც არ შეასრულა და 2018 წლის ნოემბრის მდგომარებით მუზეუმის სამშენებლო სამუშაოები დაუსრულებელია.

**რეკომენდაცია №2:** მუნიციპალიტეტის მერიამ ინფრასტრუქტურული სამუშაოები უნდა დაგეგმოს ყველა იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს პროექტის წარმატებით დასრულებას. დაგეგმვისა და შესრულების ეტაპზე, მუნიციპალიტეტმა უნდა დანერგოს ყველა საჭირო კონტროლის მექანიზმი, რაც ხელს შეუწყობს პროექტის დროულ დასრულებას. შესრულებულ სამუშაოებზე ხარვეზების გამოვლენის და სამუშაოების დაუსრულებლობის შემთხვევაში დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები, რომელთაც ევალებოდა 2016-2017 წლებში დაზიანებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კონტროლი, მათ მიმართ მიყენებული ზარალის ანაზღაურების მოთხოვნით, გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

### გამარტივებულ შესყიდვებში არსებული შეუსაბამოებები

**კრიტერიუმი:** საქართველოს მთავრობის, ასევე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის სამართლებრივი აქტების შესაბამისად<sup>17</sup>, 2012 წლის 1 ივლისის შემდეგ, გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება მიმწოდებელს უნდა აუნაზღაურდეს შემდეგი წესით: შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი ხელშეკრულების ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ერთეულის ფასების ფარგლებში, ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით. აღნიშნული გულისხმობს სამუშაოს ანაზღაურებას რეალურად გაწეული ხარჯების მიხედვით, რაც შესაძლებელია დადასტურდეს სამუშაოს შესრულების პროცესში შედგენილი სასაქონლო ზედნადებით, ანგარიშ-ფაქტურებით, ხელფასის ჩარიცხვის დოკუმენტით, შესყიდვის აქტებით, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებით და სხვ.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელების მიზნით, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დადებულია 24 ხელშეკრულება, ღირებულებით 103.1 ათასი ლარი.

აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა მიმწოდებლების მიერ შესრულებული სამუშაოების ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. კერძოდ: სასაქონლო ზედნადები, ანგარიშ-ფაქტურები, ხელფასის უწყისები, შესყიდვის აქტები, იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებები და სხვ. აღნიშნული დოკუმენტაცია აუდიტის

<sup>17</sup> საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილება; საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანება.

ობიექტმა ვერ წარმოადგინა. მუნიციპალიტეტი მიმწოდებლებთან ანგარიშსწორებას ახორციელებდა ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, მხოლოდ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოს აქტების (ფორმა №2) საფუძველზე. შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვის დროს 24 შემთხვევაში (დაზიანებული გზების, ხიდების, საბავშვო ბაღების და წყალსადენის რეაბილიტაცია და სხვა), სახელშეკრულებო ღირებულებით 103.1 ათასი ლარი, სამშენებლო სამუშაოების ანაზღაურება არ განხორციელებულა ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე.

გამარტივებული შესყიდვის დროს, საქონლის/მომსახურების მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შესაბამისად, გამარტივებული შესყიდვის დროს, შესყიდვა შესაძლოა განხორციელდეს არასაბაზრო ფასად და ადგილი ჰქონდეს საბიუჯეტო თანხების ზედმეტად გადახდას.

#### **დასკვნა**

ამდენად, 2016-2017 წლებში სამშენებლო სამუშაოების გამარტივებული წესით შესყიდვისას მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაცული კანონმდებლობის მოთხოვნა ფაქტობრივი დანახარჯებით ანაზღაურების შესახებ, რაც არსებული პრაქტიკით იწვევს საბიუჯეტო სახსრების ზედმეტად ანაზღაურებას.

**რეკომენდაცია №3:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) სამშენებლო სამუშაოების მიწოდებაზე გაფორმებული გამარტივებული შესყიდვის ხელშეკრულებების ფარგლებში, ანგარიშსწორება არ განახორციელოს მიმწოდებლების მიერ ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიზანშეწონილია შეიმუშაოს გამარტივებული შესყიდვის გზით განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების ფაქტობრივი დანახარჯების დათვლის მეთოდი და კონკრეტული წესი, რომელიც შესაბამისობაში იქნება მოქმედ კანონმდებლობასთან. საჭიროა მუნიციპალიტეტმა მიმწოდებლებისაგან მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაცია და გაიანგარიშოს ფაქტობრივი ხარჯები. შეუსაბამოების არსებობის ან დოკუმენტების წარმოდგენლობის შემთხვევაში, გაატაროს სათანადო სამართლებრივი ღონისძიებები, მათ შორის, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომლებსაც ევალებოდათ ანგარიშსწორების აღნიშნული პრინციპის დაცვა.

## საბიუჯეტო პროცესი

### ბიუჯეტის დაგეგმვაში არსებული ნაკლოვანებები

#### პრიორიტეტების დოკუმენტი

**კრიტერიუმი:** საბიუჯეტო კოდექსის თანახმად<sup>18</sup>, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების პრიორიტეტების დოკუმენტი არის ადმინისტრაციული ერთეულების განვითარების ძირითადი გეგმა, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმების შესახებ.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო ყოველი წლის 1 მარტიდან იწყებს მუშაობას, რისთვისაც გამოსცემს შესაბამის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები.

ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანო, მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტს წარუდგენს წარმომადგენლობით ორგანოს. პრიორიტეტების დოკუმენტი უნდა მოიცავდეს: გასული, მიმდინარე, დასაგეგმი საბიუჯეტო წლისათვის და დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებისათვის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს არ გამოუცია შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომელშიც განსაზღვრულია პრიორიტეტების შედგენისათვის წარსადგენი ინფორმაციის ნუსხა და წარდგენის ვადები. აღნიშნულით დარღვეულია საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

მიუხედავად ამისა, 2016-2017 წლების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტების პროექტებთან ერთად, მერიამ წარმომადგენლობით ორგანოს წარუდგინა მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტებიც. შესწავლით გამოვლინდა, რომ პრიორიტეტების დოკუმენტები არ მოიცავს დასაგეგმის შემდგომი სამი საბიუჯეტო წლისათვის ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების, ფინანსური და არაფინანსური აქტივებით ოპერაციებისა და ვალდებულებების აგრეგირებულ მაჩვენებლებს. შედეგად, 2016-2017 წლების მუნიციპალიტეტის

<sup>18</sup> საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 76

პრიორიტეტების დოკუმენტები არ შეესაბამება საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

### საბიუჯეტო განაცხადები

**კრიტერიუმი:** საბიუჯეტო კოდექსის თანახმად<sup>19</sup>, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით შესაბამისი საფინანსო ორგანო საბიუჯეტო ორგანიზაციებს უგზავნის საბიუჯეტო განაცხადის ფორმებს ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის მომზადების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო ორგანოს მიერ საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ გადაგზავნილა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები, ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. არც საბიუჯეტო ორგანიზაციებს წარმოუდგენიათ საფინანსო სამსახურში საბიუჯეტო განაცხადები.

ამდენად, ბიუჯეტებში ისე დაიგეგმა და დამტკიცდა სუბსიდიის მაჩვენებელი, რომ საბიუჯეტო ორგანიზაციებში არ იყო გაგზავნილი საბიუჯეტო განაცხადები და არც მათ მიერ წარმოდგენილა საბიუჯეტო განაცხადები საშტატო განრიგისა და მათი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობის მიხედვით. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დარღვეულია საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

### სუბსიდიების დაგეგმვა

**კრიტერიუმი:** „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად<sup>20</sup>, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში<sup>21</sup>, ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები, კერძოდ: „შრომის ანაზღაურების“, „საქონლისა და მომსახურების“ და „სუბსიდიების“ მუხლები უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 2016 წლის საკასო შესრულების მაჩვენებლის 90%-ს. კანონის მიხედვით აღნიშნული მოთხოვნები უნდა დაიცვან მუნიციპალიტეტებმა 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში.

<sup>19</sup> საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 77, პუნქტი 3 და 4

<sup>20</sup> მუხლი 23, პუნქტი „ვ“

<sup>21</sup> გარდა სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებისა



**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტმა 2017 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, განსაზღვრა ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში ადმინისტრაციული/საოპერაციო ხარჯები (სუბსიდია). წარმოდგენილი მონაცემებით, მუნიციპალიტეტმა მის დაფინანსებაზე მყოფ 7 ა(ა)იპ-ს განუსაზღვრა სუბსიდია ჯამში 883.3 ათასი ლარი. „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციებისათვის გასაცემი სუბსიდია, არ უნდა შეადგენდეს წინა წლის საკასო ხარჯის 90%-ზე მეტს. ამ მოთხოვნების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტს 7 ა(ა)იპ-ისათვის უნდა დაეგეგმა სუბსიდია მაქსიმუმ 637.7 ათასი ლარის ოდენობით. მუნიციპალიტეტმა 7 ა(ა)იპ-ის შემთხვევაში არ გაითვალისწინა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები, 10%-ით შემცირების ნაცვლად, ადმინისტრაციული ხარჯები გაზარდა მნიშვნელოვნად.

**ცხრილი №2: მერიის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ/შპს-ის 2016-2017 წწ. ბიუჯეტების დაგეგმვის მაჩვენებლები**

№	ა(ა)იპ/შპს-ის დასახელება	2016 წლის საკასო შესრულება	2016 წლის საკასო ხარჯის 90%	2017 წლის ფაქტი	გადახრა
1	ა(ა)იპ ფერმერული მომსახურების სერვისცენტრი	47,762.6	42,986.3	45,000.0	2,013.7
2	ა(ა)იპ კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობა	95,585.0	86,026.5	212,089.0	126,062.5
3	ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანება	98,443.3	88,599.0	89,987.0	1,388.0
4	ა(ა)იპ ლ. მუსელიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	59,188.5	53,269.7	58,993.2	5,723.5
5	ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება	107,993.7	97,194.3	110,927.0	13,732.7
6	ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	247,421.2	222,679.1	269,850.3	47,171.3
7	ა(ა)იპ ო.ლიპარტელიანის სახ. ოლიმპიური მომზადების ცენტრი	52,149.1	46,934.2	48,444.4	1,510.2
	<b>სულ</b>	<b>708,543.4</b>	<b>637,689.1</b>	<b>835,290.9</b>	<b>197,601.8</b>

ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვანი ზრდაა ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობაში“ – 147%, ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანებაში“ – 21%, ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანებაში - 14% და სხვა. ხარჯების მატება განაპირობა ა(ა)იპ-ებში დასაქმებულთა რაოდენობის ზრდამ, შესაბამისად გაიზარდა შრომის ანაზღაურების მუხლი.

## დასკვნა

ამდენად, მერიამ არ შეასრულა კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნები. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებში, 70.8 ათასი ლარით შემცირების ნაცვლად, ადმინისტრაციული ხარჯები გაიზარდა 126.8 ათასი ლარით. სულ ზედმეტად დაფინანსებული თანხა შეადგენს 197.6 ათას ლარს.

**რეკომენდაცია №4:** საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს აღნიშნული საკითხი და გამოავლინოს შესაბამისი პასუხისმგებელი პირები. მათ მიმართ, ვისი მიზეზითაც დაირღვა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

## სარეზერვო ფონდის არამიზნობრივი ხარჯვა

**კრიტერიუმი:** საბიუჯეტო კოდექსის თანახმად<sup>22</sup>, თვითმმართველ ერთეულს შეუძლია ბიუჯეტში შექმნას სარეზერვო ფონდი, რომლის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს წლიური ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნებების მთლიანი ოდენობის 2%-ს. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი იქმნება გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად.

**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან დახარჯა 107.7 ათასი ლარი, მათ შორის 2016 წელს - 60.0 ათასი ლარი, ხოლო 2017 წელს - 47.7 ათასი ლარი.

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან დააფინანსა 3 სოციალურად დაუცველი პირის სამკურნალო ხარჯი და 1 სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლე. სულ აღნიშნულ პირებზე დაიხარჯა 7.2 ათასი ლარი. სარეზერვო ფონდის ძირითადი ნაწილი - 100.5 ათასი ლარი, დაიხარჯა მუნიციპალიტეტის მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დასაფინანსებლად, კერძოდ:

2016 წელს მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით<sup>23</sup>, სარეზერვო ფონდიდან დაფინანსდა:

ა) ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება“, თანხით 7.4 ათასი ლარი;

<sup>22</sup> საბიუჯეტო კოდექსის მუხლი №67

<sup>23</sup> 2016 წლის 24 აგვისტოს №361 ბრძანება, №362 ბრძანება, 2016 წლის 11 მაისის ბრძანება №231

- J ა(ა)იპ „თემებში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი“, თანხით 33.4 ათასი ლარი;
- J ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობა“, თანხით 13.0 ათასი ლარი.

2017 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით<sup>24</sup>, სარეზერვო ფონდიდან თანხები გადატანილი იქნა კლასიფიკაციის მუხლებს შორის:

- J გამგეობის საქონელი და მომსახურების მუხლში, 30.0 ათასი ლარი;
- J ა(ა)იპ „კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობა“, თანხით 11.1 ათასი ლარი;
- J ა(ა)იპ „ლ. მუსელიანის სახელობის მხარეთმცოდნეობა“, თანხით 5.6 ათასი ლარი.

საკითხის შესწავლით გაირკვა, რომ მუნიციპალიტეტმა სარეზერვო ფონდიდან დააფინანსა გამგეობის შტატგარეშე მოსამსახურეები და ა(ა)იპ-ებში დასაქმებულები. მოქმედი კანონმდებლობით, სარეზერვო ფონდი იქმნება მხოლოდ გაუთვალისწინებელი გადასახდელების დასაფინანსებლად. დასაქმებულებზე ხელფასების გაცემა არ შეიძლება ჩაითვალოს გაუთვალისწინებელ ხარჯებად, ვინაიდან ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე ხდება სახელფასო ფონდის განსაზღვრა და დამტკიცება.

### დასკვნა

ამდენად, მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები მოქმედებდნენ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, არამედ სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე. მათ დაარღვიეს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები და დიდი ოდენობით საბიუჯეტო სახსრები დახარჯეს არამიზნობრივად.

### ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შედგენაში გამოვლენილი ხარვეზები

**კრიტერიუმი:** საბიუჯეტო კოდექსის თანახმად<sup>25</sup>, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების

<sup>24</sup> 2017 წლის 30 ივნისი №40 ბრძანება, 2017 წლის 2 მარტის ბრძანება №052

<sup>25</sup> საბიუჯეტო კოდექსის მუხლი 87

შედარებას შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან, ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს წლის დასაწყისისათვის და წლის ბოლოს.

**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტმა წარმოადგინა 2016-2017 წლების ბიუჯეტების შესრულების წლიური ანგარიშები. შესწავლით გამოვლინდა, რომ შესრულების ანგარიში არ მოიცავს ბიუჯეტის ბალანსს საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით. არ არის ინფორმაცია შემოსულობების და გადასახდელების ჯამური მაჩვენებლების შესახებ. შესრულების ანგარიშებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საწყისი ნაშთების შესახებ. არ არის შედარებული ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები შესაბამისი პერიოდის გეგმიურ მაჩვენებლებთან. წარმოდგენილი ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებზე დაყრდნობა შეუძლებელია, ვინაიდან არ იძლევა მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. შესაბამისად მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ არ არის შესრულებული საბიუჯეტო კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

#### **დასკვნა**

ამდენად, საბიუჯეტო პროცესის წარმართვაში არსებული მართვის სისუსტეების გამო, შესაბამისი პასუხისმგებელი პირების არასაკმარისი ცოდნისა და კომპეტენციის შედეგად, საბიუჯეტო პროცესი წარმართა სხვადასხვა ხასიათის ხარვეზებით და მოქმედი კანონმდებლობის დარღვევით.

**რეკომენდაცია №5:** მუნიციპალიტეტის მერიამ საბიუჯეტო პროცესის სრულყოფილად წარმართვის მიზნით დანერგოს სათანადო კონტროლის მექანიზმები. ამასთან, მიზანშეწონილია მერიამ საჭიროების შემთხვევაში გამოიყენოს კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილება და შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული საბიუჯეტო ასიგნებების საერთო მოცულობის არანაკლებ 1 პროცენტი მიმართოს მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

## წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

### საშტატო რიცხოვნობა დადგენილი ნორმის დარღვევით

**კრიტიკიუმი:** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო ნუსხებით გათვალისწინებული საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა უნდა იყოს არანაკლებ 30 ერთეული. იმ მუნიციპალიტეტში, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 45000-ზე ნაკლებია, საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საჯარო მოსამსახურეთა მინიმალური რაოდენობის (30 საშტატო ერთეული), შესაბამის საკრებულოში 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნებისათვის დადგენილი მაჟორიტარული ოლქების რაოდენობის 3.2 კოეფიციენტზე ნამრავლისა და თვითმმართველ ერთეულში რეგისტრირებულ ყოველ 450 ამომრჩეველზე 1 საშტატო ერთეულის დამატებით მიღებულ ჯამს.

**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტს გამგეობის/მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 69 ერთეულს.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დაწესებული ზღვარი არის დარღვეული. კერძოდ, 2016 წელს გამგეობისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა დამტკიცებული საშტატო რიცხოვნობა შეადგენდა 82 ერთეულს, რაც 13 ერთეულით აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმას. 2017 წელს საშტატო რაოდენობამ შეადგინა 81 ერთეული, რაც ასევე აღემატებოდა კანონმდებლობით დადგენილ ზღვრულ ნორმას 12 ერთეულით.

საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ნორმები საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რაოდენობის ზღვრული რიცხოვნობის შესახებ. მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ არ არის დაცული საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნები.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფ საბიუჯეტო ორგანიზაციებში<sup>26</sup>, 2016 წელს დასაქმებული იყო 745, ხოლო 2017 წელს 707 პირი. გარდა ამისა, 2016 წელს გამოვლინდა 57, ხოლო 2017 წელს 52 შემთხვევა, როდესაც ერთიდაიმავე

<sup>26</sup> მერია, საკრებულო, ა(ა)იპ

პირები ერთდროულად მუშაობდა 2 სხვადასხვა დაწესებულებაში, ერთიდაიმავე ან სხვადასხვა პოზიციაზე. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემით, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იყო მინიმუმ 4200 და მაქსიმუმ 4300 ადამიანი. შესაბამისად, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დაახლოებით ყოველი მე-6 ადამიანი დასაქმებულია ადგილობრივ საბიუჯეტო ორგანიზაციებში. თუ გავითვალისწინებთ მუნიციპალიტეტის გეოგრაფიულ მდებარეობას და სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას, მუდმივი მაცხოვრებლების რაოდენობა კიდევ უფრო ნაკლებია, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მაცხოვრებლებთან შედარებით. აღნიშნულით, მუდმივი მაცხოვრებლების რაოდენობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირთა პროცენტული მაჩვენებელი კიდევ უფრო მაღალია. 2016-2017 წლებში, მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა შეადგინა 10,209.0 ათასი ლარი, აქედან საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებულთა მხოლოდ ხელფასებზე დახარჯულია 4,710.5 ათასი ლარი, რაც გადასახდელების 46 %-ს შეადგენს. სულ თვითმმართველი ერთეულის საბიუჯეტო ორგანიზაციების (მერია, საკრებულო, ა(ა)იპ) საქმიანობის უზრუნველყოფაზე დაიხარჯა 5,167.3 ათასი ლარი. ამდენად, მმართველობითი ორგანოების შენახვაზე გადასახდელების 51% იხარჯება, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

**რეკომენდაცია №6:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკანონმდებლო ორგანომ არ დაუშვას მერიისა და საკრებულოს აპარატის სამტატო რიცხოვნობის დამტკიცება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. აგრეთვე, საჭიროა მერიამ იმუშაოს საბიუჯეტო ორგანიზაციების ადმინისტრაციული ხარჯის შემცირების მიმართულებით.

#### **თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან ზედმეტად ანაზღაურებული თანხები**

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით<sup>27</sup>, გამგეობის/მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობებს მერის წარდგინებით, განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის საკრებულო. საკრებულოს დადგენილებით განსაზღვრულია საჯარო მოხელეებზე თვეში გასაცემი თანამდებობრივი

<sup>27</sup> 2016-2017 წლებში მოქმედი რედაქციით

სარგოს ოდენობა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, შრომის ანაზღაურება გაცივმა თვეში ერთხელ<sup>28</sup>.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივმა სარგომ შეადგინა 1,942.4 ათასი ლარი, მათ შორის 2016 წელი - 968.9 ათასი ლარი, 2017 წელი - 973.5 ათასი ლარი.

2016 წელს მუნიციპალიტეტში დანერგილი იყო პრაქტიკა, როდესაც მოსამსახურეებს შვებულებაში გასვლასთან დაკავშირებით, წინასწარ ერიცხებოდათ საშვებულებო თანხები. საკითხის შესწავლით გამოვლინდა, რომ შვებულებაში გასვლიდან მოკლე პერიოდში, მოსამსახურეები ბრძანებით გამოძახებული იყვნენ სამსახურში თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად. გამოძახებულ თანამშრომლებზე იმავე თვეში დარიცხულია შრომის ანაზღაურება, ანუ ერთსა და იმავე პერიოდში გაცემულია განკუთვნილ თანამდებობრივ სარგოზე მეტი თანხა. კერძოდ:

2016 წელს შვებულებაში გასულ მუნიციპალიტეტის 6 საჯარო მოხელეზე<sup>29</sup>, წინასწარ გაცემულია შრომის ანაზღაურების თანხა. იქიდან გამომდინარე, რომ შვებულებაში გასვლისას იმ თვის გასამრჯელო თანამშრომლებს აღებული ჰქონდათ წინასწარ, სამსახურში გამოძახების მოტივით ხელფასი ხელმეორედ არ უნდა დარიცხვოდ. შესაბამისად, შვებულებიდან გამოძახებულ თანამშრომლებზე გაცემული 5.7 ათასი ლარი წარმოადგენს ზედმეტად გაცემულ თანხას.

გარდა ამისა, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის რამდენიმე თანამშრომელზე ხელფასი გაცემულია თვეში ორჯერ, თანამდებობრივი სარგოს 100 %-ის ოდენობით. კერძოდ:

- J 2016 წელს სექტემბერში 1 საჯარო მოხელეზე<sup>30</sup>, ხოლო დეკემბერში - 10 საჯარო მოხელეზე<sup>31</sup> გაიცა 6.6 ათასი ლარი;
- J 2017 წელს მაისში 1 საჯარო მოხელეზე<sup>32</sup>, ოქტომბერში 1 საჯარო მოხელეზე<sup>33</sup> და დეკემბერში 9 საჯარო მოხელეზე<sup>34</sup> გაიცა 9.0 ათასი ლარი.

<sup>28</sup> „საქართველოს შრომის კოდექსის“ 31-ე მუხლის მეორე პუნქტი

<sup>29</sup> საკრებულოს თავმჯდომარე, სამსახურის უფროსი, 3 განყოფილების უფროსი და 1 მთავარი სპეციალისტი

<sup>30</sup> საკრებულოს თავმჯდომარე

<sup>31</sup> სამსახურის უფროსი, 2 განყოფილების უფროსი, 6 მთავარი სპეციალისტი და 1 სპეციალისტი

<sup>32</sup> საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე,

<sup>33</sup> საკრებულოს თავმჯდომარე

<sup>34</sup> საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე, გამგებლის წარმომადგენელი ადმინისტრაციულ ერთეულში, განყოფილების უფროსი, 4 მთავარი სპეციალისტი და 1 სპეციალისტი

პასუხისმგებელი პირის განმატებით, მათ გასცეს მე-13 ხელფასი. თუმცა, მოქმედი კანონმდებლობით არ არის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოს ან რაიმე წახალისების, ამ სახით გაცემა. კანონმდებლობის თანახმად, ხელფასი გაიცემა თვეში ერთხელ. შესაბამისად, მუნიციპალიტეტმა 2016-2017 წლებში 15.6 ათასი ლარი გასცა კანონშესაბამოდ, რაც წარმოადგენს ზედმეტად გაცემულ თანხას.

### დასკვნა

ამდენად, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები მოქმედებდნენ არა კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, არამედ სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე. შედეგად, შრომის ანაზღაურების მუხლიდან 21.3 ათასი ლარი ანაზღაურებულია ზედმეტად.

**რეკომენდაცია №7:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მოსამსახურეებზე საშვებულებო თანხების და კანონშესაბამოდ ხელფასების გაცემის ფაქტები, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადარიცხული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება.

### ინტერესთა შეუთავსებლობა

**კრიტიკიუმი:** „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, არ შეიძლება თანამდებობის პირის სამსახურებრივი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ პოზიციაზე მოხელედ, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით ან შრომითი ხელშეკრულებით დაინიშნოს (გარდა კონკურსის წესით დანიშვნისა) ამ თანამდებობის პირის ახლო ნათესავი<sup>35</sup>. საჯარო მოხელის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მუნიციპალიტეტმა უნდა იხელმძღვანელოს გამჭვირვალობისა და კანონიერების პრინციპების დაცვით.

**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებების თანხმად, 2016 წლის აგვისტოდან გამგეობის ადმინისტრაციულ სამსახურში მთავარი სპეციალისტად დაინიშნა ქეთევან ფირცხელანი-ჯამბურიძე. ამ თანამდებობაზე მან იმუშავა ოქტომბრის ჩათვლით. 2017 წლის 1 იანვრიდან კი აღნიშნული

<sup>35</sup> „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მუხლი 13, პუნქტი 13



პირი გადაყვანილი იქნა შტატგარეშე მოსამსახურედ, რომელსაც დაევალი იგივე საქმიანობა, რასაც ასრულებდა შტატით ყოფნის დროს. შესწავლით გამოვლინდა, რომ ამ მოსამსახურის მუშაობის პერიოდში - 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის გამგებელი იყო მისი მეუღლე.

### **დასკვნა**

ამდენად, მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მისდამი უშუალო ზედამხედველობის ქვეშ მყოფი მთავარი სპეციალისტის თანამდებობაზე დანიშნა მეუღლე. შედეგად, მუნიციპალიტეტის მიერ დაირღვა „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები.

### **შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა დადგენილი ზღვრების დარღვევით**

**კრიტერიუმი 1:** მუნიციპალიტეტს, თავისი უფლებამოსილებებს განხორციელებისას, გარდა შტატით გათვალისწინებული პირებისა, შეუძლია დაიქირაოს შრომითი ხელშეკრულებით მოსამსახურეები. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად<sup>36</sup>, შტატგარეშე მოსამსახურე არის პირი, რომელიც დანიშნული ან შრომითი ხელშეკრულებით გარკვეული ვადით მიიღება სამსახურში, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად<sup>37</sup>. მუნიციპალიტეტსა და შტატგარეშე მოსამსახურეს შორის ურთიერთობები და უფლება-მოვალეობები რეგულირდება მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით შრომითი ურთიერთობის შესახებ.

**გამოვლენილი გარემოება 1:** 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე დახარჯა 266.4 ათასი ლარი<sup>38</sup>. 2016 წელს მუნიციპალიტეტში დასაქმებული იყო 34, ხოლო 2017 წელს 24 შტატგარეშე მოსამსახურე. მუნიციპალიტეტმა შრომითი ხელშეკრულებები გააფორმა და შტატგარეშე მოსამსახურეები დაიქირავა ადმინისტრაციული, ინფრასტრუქტურის, ზედამხედველობის, ქონების, სამხედრო და სხვა სამსახურებში შესაბამისი დავალებების შესასრულებლად.

მუნიციპალიტეტში შტატგარეშე მოსამსახურეებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესწავლით გამოვლინდა, რომ შტატგარეშე მოსამსახურეები ინიშნებიან ზოგჯერ 6 თვის, ხოლო უმრავლეს შემთხვევაში 1 წლის ვადით, შემდგომ უგრძელდებათ ხელშეკრულება იმავე ვადით. მუნიციპალიტეტის მიერ გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები, გარდა მომსახურების დასახელებისა, არ შეიცავს დროში

<sup>36</sup> 2017 წლის 1 ივლისამდე მოქმედი რეგულაციების შესაბამისად, მუხლი №5.

<sup>37</sup> მუხლი №8.

<sup>38</sup> 2016 წელი 158.6 ათასი ლარი, 2017 წელი 107.8 ათასი ლარი

განსაზღვრულ რაიმე კონკრეტულ დავალებას, შესასრულებელი სამუშაოს ან გასაწევი მომსახურების სპეციფიკას და აქედან გამომდინარე, შრომით ურთიერთობებს ხანგრძლივი ვადით, ფაქტობრივად მუდმივ ამოცანათა შესასრულებლად აწესრიგებს. დაქირავებულების ფუნქციები ფაქტობრივად არ განირჩევა შტატით დასაქმებული თანამშრომლების საქმიანობისაგან. აღნიშნული წინააღმდეგობაშია შტატგარეშე მოსამსახურის დაქირავების პრინციპთან, რომელიც სამსახურში მიიღება გარკვეული ვადით, არამუდმივ ამოცანათა შესასრულებლად.

**კრიტერიუმი 2:** ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით<sup>39</sup>, მუნიციპალიტეტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს გამგეობის/მერიის და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობის 10%-ს.

**გამოვლენილი გარემოება 2:** მუნიციპალიტეტის გამგეობის/მერიისა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა საშტატო რიცხოვნობა, მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს 69 ერთეულს. აღნიშნულის გათვალისწინებით, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტს შეეძლო ერთდროულად დაექირავებინა არა უმეტეს 7 შტატგარეშე მოსამსახურე.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესწავლით გამოვლინდა, რომ მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დაწესებული ზღვარი არის დარღვეული. კერძოდ, 2016 წელს ერთდროულად დაქირავებულ შტატგარეშეთა რაოდენობა სხვადასხვა თვეებში იცვლებოდა 16-დან 23 მოსამსახურემდე, რაც მინიმუმ 9 ერთეულით აღემატებოდა კანონით დადგენილ ნორმას. 2017 წელს შტატგარეშე მოსამსახურეთა რაოდენობა მერყეობდა 8-დან 10 მოსამსახურემდე, რაც მინიმუმ 2 ერთეულით სცილდება დადგენილ ზღვარს.

საჯარო ფინანსების რაციონალური ხარჯვის პრინციპიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტი ვალდებულია დაიცვას ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ნორმები შრომითი ხელშეკრულებით დაქირავებულთა ზღვრული რიცხოვნობის შესახებ. მუნიციპალიტეტის (შესაბამისი პასუხისმგებელი პირების) მიერ არ არის დაცული საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი მოთხოვნები.

**რეკომენდაცია №8** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას შრომითი ხელშეკრულებით დაქირავება კანონმდებლობით დადგენილი ზღვრის დარღვევით. ამასთანავე, ხელშეკრულებები გააფორმოს საჯარო

<sup>39</sup> მუხლი 156, 2016-2017 წლებში მოქმედი რეგულაციების შესაბამისად.

სამსახურის განხორციელების უზრუნველსაყოფად, მხოლოდ დამხმარე ან არამუდმივი ამოცანების შესასრულებლად<sup>40</sup>. აღნიშნული ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში დასაქმებულთა რაოდენობის ოპტიმიზაციას და საბიუჯეტო თანხების რაციონალურ ხარჯვას.

### დაუსაბუთებლად გაცემული საწვავი

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საწვავის ხარჯმა შეადგინა 95.9 ათასი ლარი, მათ შორის 2016 წელს 44.4 ათასი ლარი, 2017 წელს 51.5 ათასი ლარი.

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა დახარჯა 50.1 ტონა ბენზინი და 10.4 ტონა დიზელი. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არ ფუნქციონირებს კონსოლიდირებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების ავტოგასამართი სადგურები. მერიამ საწვავი შეიძინა გამარტივებული შესყიდვის გზით. სამსახურებრივი უფლებამოსილების განსახორციელებლად, მუნიციპალიტეტის თანამშრომლებზე საწვავის გაცემა ხდებოდა საბარათე სისტემის მეშვეობით.

საკითხის შესწავლის მიზნით, აუდიტის ჯგუფმა მუნიციპალიტეტს მოსთხოვა წარმოდგინა საწვავის ხარჯვასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოვლინდა, რომ მერიას არ აქვს ინფორმაცია 8.4 ტონა, საწვავის ხარჯვის შესახებ, ღირებულებით დაახლოებით 14.0 ათასი ლარი<sup>41</sup>. კერძოდ:

- J 2016 წელს მერიამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები იმისა, თუ სად დაიხარჯა 1.7 ტონა დიზელი.
- J 2017 წელს ვერ იქნა წარმოდგენილი 1.8 ტონა ბენზინისა და 4.9 ტონა დიზელის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუნიციპალიტეტში დაახლოებით 14.0 ათასი ლარის ღირებულების 8.4 ტონა საწვავის ხარჯვაზე არ არის გაფორმებული გაცემის უწყისი, მიღება-ჩაბარების აქტი ან სხვა დამადასტურებელი დოკუმენტი. მუნიციპალიტეტში არ არის დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ საწვავის გაცემასა და ხარჯვაზე კონტროლს.

<sup>40</sup> „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოქმედი რედაქციით.

<sup>41</sup> 1 ლიტრი საწვავის ფასი იცვლებოდა. 2016 წელს მიახლოებითი ფასია- დიზელი 1.3 ლარი, 2017 წელს - დიზელი 1.75 ლარი და ბენზინი 1.8 ლარი

## დასკვნა

აქტივების მართვაში არსებული სუსტი კონტროლის გამო, მუნიციპალიტეტმა 8.4 ტონა საწვავი გასცა შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების შედგენის გარეშე. აღნიშნული გარემოება წარმოშობს რისკს იმისა, რომ შესაძლოა საწვავი გამოყენებულია არა სამსახურებრივი, არამედ პირადი მიზნების დასაკმაყოფილებლად.

**რეკომენდაცია №9:** მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ აღმასრულებელ ორგანოსთან შეთანხმებით, გონივრულობის პრინციპის გათვალისწინებით, შეიმუშაოს და განუხრელად შეასრულოს წესი საწვავის მიღების, გაცემისა და ხარჯვის შესახებ.

მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების გარეშე, საწვავის გაცემის ფაქტები, გამოავლინოს საწვავის გაცემასა და ხარჯვაზე პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

## გამოუყენებელი აღრიცხვის ელექტრონული სისტემა

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის მიერ საქონლის/მომსახურების შესყიდვა ემსახურება კონკრეტული საჭიროების დაკმაყოფილებას. აღრიცხვის ელექტრონული სისტემის შესყიდვის მიზანს წარმოადგენდა საჯარო სამსახურში მოსამსახურეთა აღრიცხვა-დასწრების რეგულირება. იმ შემთხვევაში, თუ საბიუჯეტო ორგანიზაცია შეისყიდის საქონელს/მომსახურებას და არ გამოიყენებს შესაბამისი მიზნის მისაღწევად, გადახდილი თანხები შეიძლება ჩათვლილი იყოს როგორც არაეფექტიანი ხარჯი.

**გამოვლენილი გარემოება:** 2017 წლის 24 იანვარს მუნიციპალიტეტმა გააფორმა ხელშეკრულება შპს Smart Choice-თან თანამშრომელთა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის შესყიდვასთან დაკავშირებით, ღირებულებით 4.9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (ტურნიკეტი) დამონტაჟდა 2017 წლის 6 მარტს. აღნიშნული სისტემა ექსპლუატაციაში იყო 2017 წლის 31 ივლისის ჩათვლით, რის შემდგომ არ ფუნქციონირებდა. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, დაბალი ხარისხის ინტერნეტის გამო სისტემა მუშაობდა ხარვეზებით. კერძოდ, აპარატი ვერ ახდენდა ყველა თანამშრომლის იდენტიფიცირებას, რის გამოც მუნიციპალიტეტის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა მიიღო გადაწყვეტილება სისტემის გამორთვის შესახებ.

ამდენად, მუნიციპალიტეტმა აღრიცხვის ელექტრონული სისტემის მოწყობაზე დახარჯა 4.9 ათასი ლარი. მიუხედავად ამისა, სისტემა ფუნქციონირებდა მხოლოდ 4 თვის განმავლობაში, შემდგომ კი გამოირთო. შედეგად, სისტემის საშუალებით არ

კონტროლდება ადმინისტრაციულ შენობაში მოსამსახურეთა დასწრება. მუნიციპალიტეტმა არ გაატარა შესაბამისი ღონისძიებები აღრიცხვის ელექტრონულ სისტემის მუშაობის აღსადგენად. ამგვარად, მუნიციპალიტეტს შესყიდული და გამოუყენებელი აქვს 4.9 ათასი ლარის საქონელი. შესაბამისად, მასში გადახდილი თანხა წარმოადგენს არაეფექტიან ხარჯს.

**რეკომენდაცია №10:** საჭიროა მუნიციპალიტეტის მერიამ აღადგინოს აღრიცხვის ელექტრონული სისტემის ფუნქციონირება, რაც კონტროლს გაუწევს ადმინისტრაციულ შენობაში მოსამსახურეთა დასწრებას. ამასთან, კონკრეტული საქონლის შესყიდვის დაგეგმვის დროს მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს მისი გამოყენების შემაფერხებელი გარემოებები. მუნიციპალიტეტმა დაადგინოს პასუხისმგებელი პირები და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები.

### საკრებულოს წევრებზე დაუსაბუთებლად ანაზღაურებული ხარჯები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრი, გარდა თანამდებობის პირისა, თავის უფლებამოსილებას ახორციელებს სამსახურებრივი საქმიანობისაგან მოუწყვეტლად და უსასყიდლოდ. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად<sup>42</sup>, მას შეიძლება აუნაზღაურდეს უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორცაა საკრებულოსა და კომისიის სხდომების, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩეველთან შეხვედრების, ასევე საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის ცალკეული დავალების შესრულებისათვის საჭირო ხარჯები.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად<sup>43</sup>, ხარჯის დამადასტურებელ დოკუმენტს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, სადაც აღინიშნება დოკუმენტის დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, რაოდენობა, ფასი, თანხა, სამეურნეო ოპერაციაში მონაწილე მხარეთა დასახელება, დოკუმენტის სწორად გაფორმებისათვის პასუხისმგებელ პირთა ხელმოწერები და სხვა მონაცემები.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებში, მუნიციპალიტეტში საკრებულოს არაანაზღაურებადი წევრების ხარჯები გაიცემოდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ

<sup>42</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 41.

<sup>43</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბერს №1321 ბრძანებით დამტკიცებული „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ ინსტრუქციის“ მე-5 მუხლი

დამტკიცებული წესით<sup>44</sup>. დადგენილი წესის მიხედვით, საკრებულოს სხდომებსა და მის ორგანოთა მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე საკრებულოსა და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საკრებულოს წევრებს (გარდა თანამდებობის პირებისა) ხარჯების ასანაზღაურებლად განესაზღვრათ ზღვრული მოცულობა, ყოველთვიურად 395 ლარი.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს არაანაზღაურებად წევრებს 2016-2017 წლებში, ხარჯების ანაზღაურების სახით, მიღებული აქვთ სულ 66.0 ათასი ლარი<sup>45</sup>. საკრებულოს წევრებზე ანაზღაურებულია დადგენილებით განსაზღვრული მაქსიმალური თანხები, რაც მიანიშნებს დაუსაბუთებლად თანხების გაცემაზე, რადგან შეუძლებელია საკრებულოს ყველა წევრს ჰქონდეს ერთიდაიმავე შესასრულებელი დავალებები და იდენტური ხარჯი. მუნიციპალიტეტმა ვერ წარმოადგინა დოკუმენტური მტკიცებულებები საკრებულოს წევრების ხარჯების დასადასტურებლად. თვითმმართველობის კოდექსის შესაბამისად, საკრებულოს არათანამდებობის პირებს, ეძლევათ არა ფიქსირებული გასამრჯელო, არამედ უნაზღაურდებათ უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯები. შესაბამისად, თანხის გაცემის საფუძველი უნდა იყოს ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

### დასკვნა

ლენტეხის მუნიციპალიტეტმა (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის საკრებულოს არათანამდებობის პირებზე ხარჯების ასანაზღაურებლად 66.0 ათასი ლარი გასცა შესაბამისი დადასტურების გარეშე, საბიუჯეტო პროცესთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შეუსაბამოდ.

**რეკომენდაცია №11:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიამ (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ მოახდინოს საკრებულოს არათანამდებობის პირებზე უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება შესაბამისი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის გარეშე. მნიშვნელოვანია, რომ საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესი და პრაქტიკა, სრულ შესაბამისობაში იყოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს საკრებულოს წევრის არაანაზღაურებადი საქმიანობის შესახებ, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით დადგენილი პრინციპის დაცვას, ასევე საბიუჯეტო სახსრების დასაბუთებულ ხარჯვას.

<sup>44</sup> მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №01 განკარგულების მიხედვით

<sup>45</sup> 2016 წელს 31.1 ათასი ლარი, 2017 წელს 34.9 ათასი ლარი.

## შესყიდვების მართვა

### აფიდავიტი

**კრიტერიუმი:** შესყიდვის კანონმდებლობის თანახმად, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას<sup>46</sup>. აფიდავიტის მოთხოვნები გულისხმობს, რომ მატერიალური გამორჩენისა ან უპირატესობის მიღების მიზნით, პრეტენდენტს ეკრძალება კონკურენტთან აწარმოოს კონსულტაცია, კომუნიკაცია ან მოლაპარაკება სატენდერო წინადადების ფასთან, შესყიდვის ობიექტის ტექნიკური პირობების დეტალებთან დაკავშირებით. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და არასწორი<sup>47</sup>. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში აცნობოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016 წლის 26 თებერვალს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით, სავარაუდო ღირებულებით 100.8 ათასი ლარი<sup>48</sup>. ტენდერში მონაწილეობას იღებდა სამი პრეტენდენტი - შპს „დათო და კომპანია“, შპს „საგზაო 333“ და შპს „ქარაი“. ვაჭრობის შედეგად ყველაზე დაბალი სატენდერო ფასი დააფიქსირა შპს „ქარაი“ – 75.2 ათასი ლარი. სატენდერო კომისიამ დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტს მოსთხოვა ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის, შესასრულებელი სამუშაოების გეგმა-გრავიკის და ანალოგიური სამუშაოების დოკუმენტაციის დაზუსტება. ასევე, მოსთხოვა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტის, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა. პრეტენდენტმა არ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტები, რის გამოც ის დისკვალიფიცირებული იქნა.

სატენდერო კომისიამ მოსთხოვა მომდევნო პრეტენდენტს - შპს „საგზაო 333“-ს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება<sup>49</sup>, თუმცა მანაც არ წარმოადგინა დაზუსტებული

<sup>46</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტი

<sup>47</sup> „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების დანართი №2

<sup>48</sup> SPA160007046

<sup>49</sup> სატენდერო ფასი - 75.2 ათასი ლარი

ხარჯთაღრიცხვა და ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დამადასტურებელი დოკუმენტი. სატენდერო კომისიამ მოახდინა მისი დისკვალიფიკაციაც.

შემდეგი, ბოლო პრეტენდენტის - შპს „დათო და კომპანიის“ სატენდერო ღირებულება შეადგენდა 95.8 ათას ლარს. ტენდერზე მან წარმოადგინა ყველა საჭირო დოკუმენტი. შედეგად სატენდერო კომისიის 2016 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით შპს „დათო და კომპანია“ გამოცხადდა გამარჯვებულად და მუნიციპალიტეტმა მას გაუფორმა ხელშეკრულება, თანხით 95.8 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებული ტენდერების შესწავლით გამოვლინდა, რომ იმავე პერიოდში მიმდინარეობდა მეორე ტენდერი, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ შპს „დათო და კომპანია“ და შპს „ქარაი“<sup>50</sup>. სატენდერო კომისიის 2016 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილებით ამ ტენდერში ორივე პრეტენდენტი დისკვალიფიცირებული იქნა. პრეტენდენტები მოხსნილი იქნენ იმ მოტივით, რომ ისინი მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებულად. კერძოდ: შპს „ქარაის“ გამოცდილებად ატვირთული ჰქონდა შპს „დათო და კომპანიასთან“ ქვეკონტრაქტორად მუშაობის გამოცდილება. შესაბამისად აღნიშნული პრეტენდენტები იყვნენ ურთიერთდაკავშირებული მხარეები და არღვევდნენ აფიდავიტის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირები 1 თვით ადრე ინფორმირებული იყვნენ<sup>51</sup>, წინა ტენდერში აღნიშნული პრეტენდენტების მიერ აფიდავიტის პირობების დარღვევის შესახებ. მიუხედავად ამისა, მერიამ შემდგომ ტენდერში არ გაითვალისწინა აღნიშნული გარემოება და დისკვალიფიკაციის ნაცვლად, გაამარჯვებინა შპს „დათო და კომპანიას“.

## დასკვნა

ამდენად, 2016 წლის 26 თებერვალს გამოცხადებულ ტენდერში, პრეტენდენტებმა დაარღვიეს საქართველოს შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრული აფიდავიტის მოთხოვნები. შპს „ქარაი“ და შპს „დათო და კომპანი“ მეტი ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სავარაუდოდ მოქმედებდნენ ურთიერთშეთანხმებით.

აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში პრეტენდენტები ექვემდებარებოდა დისკვალიფიკაციას და საკითხის შესასწავლად მუნიციპალიტეტს უნდა ეცნობებინა შესაბამისი ორგანოებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტის შესაბამისი პასუხისმგებელი პირებისთვის ცნობილი იყო, სხვა ტენდერში აღნიშნული

<sup>50</sup> SPA160006976, ტენდერი გამოცხადდა 2016 წლის 25 თებერვალს

<sup>51</sup> 04.04.2016 წელი - 06.05.2016 წელი



პრეტენდენტების მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის შესახებ, სატენდერო კომისიამ არ გაატარა შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

**რეკომენდაცია №12:** მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა, დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტების მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის და/ან ხელშეკრულების გაფორმებისგან თავის არიდების შემთხვევებში, ყურადღება გაამახვილოს აფიდავიტის შესაძლო დარღვევის რისკებზე. ამასთანავე, შეიმუშაოს კონტროლის დამატებითი მექანიზმები პრეტენდენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების გამოსავლენად და გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები. მუნიციპალიტეტმა იმ პასუხისმგებელი პირების მიმართ, რომელთაც ევალებოდათ აფიდავიტის პირობების დარღვევის გამოვლენა და სათანადო რეაგირება, გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

### ინტერესთა კონფლიქტი

**კრიტიკიუმი:** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად<sup>52</sup>, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას: „ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი და ზედამხედველობა“. ამ საქმიანობის განმახორციელებელ ფიზიკურ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები. ინტერესთა კონფლიქტში არიან ის ურთიერთდამოკიდებული პირები, რომელთა შორის განსაკუთრებულ ურთიერთობათა არსებობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მათი ან მათ მიერ წარმოდგენილი პირების საქმიანობის პირობებზე ან ეკონომიკურ შედეგებზე. განსაკუთრებულ ურთიერთობებს მიეკუთვნება ურთიერთობები, როდესაც პირები ნათესავები არიან - ნათესავების პირველი შტო: მეუღლე, მშობელი, შვილი, და, ძმა<sup>53</sup>.

დაუშვებელია, პრეტენდენტმა/მიმწოდებელმა მუნიციპალიტეტზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

<sup>52</sup> მუხლი 8.

<sup>53</sup> საგადასახადო კოდექსი, მუხლი 19.

**გამოვლენილი გარემოება:** 2017 წლის 6 დეკემბერს მუნიციპალიტეტმა გამოაცხადა ტენდერი, მუნიციპალიტეტის სოფელ ლექსურასა და სოფელ მელურაში საავტომობილო გზების მოწყობასთან დაკავშირებით. ტენდერში მონაწილეობდა 4 პრეტენდენტი. დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტებმა არ დააზუსტეს სატენდერო ფასი<sup>54</sup>, რის გამოც კომისიამ მოახდინა მათი დისკვალიფიკაცია. ტენდერში გაიმარჯვა ყველაზე მაღალი სატენდერო ფასის მქონე პრეტენდენტმა - შპს „არქი 4-მ“<sup>55</sup>. 2018 წლის 16 თებერვალს შპს „არქი 4-თან“, გაფორმდა ხელშეკრულება 31.3 ათას ლარზე.

მიმწოდებელმა სამუშაოები დაასრულა 2018 წლის 13 აპრილს, შესაბამისად მერიამ მასთან გააფორმა მიღება-ჩაბარების აქტი და აღუწერა სრული სახელშეკრულებო ღირებულება, 31.3 ათასი ლარი. შესრულებული სამუშაოები, ხელის მოწერით დაადასტურა სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიამ, სრული შემადგენლობით<sup>56</sup>.

აუდიტის ჯგუფმა გადაამოწმა შპს „არქი 4-ის“ დამფუძნებელს ხომ არ ჰქონდა ნათესაური კავშირი მუნიციპალიტეტის სატენდერო ან მიღება-ჩაბარების კომისიის რომელიმე წევრთან. სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მონაცემებზე დაყრდნობით, შპს „არქი 4“ დაფუძნდა 2016 წლის 12 დეკემბერს, რომლის მფლობელი არის კლარა ონიანი. გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ კლარა ონიანსა და სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის ერთ-ერთი წევრს შორის არსებობს ნათესაური კავშირი. კერძოდ: კომისიის წევრი, იმ პერიოდში იყო მუნიციპალიტეტის სამშენებლო რეგულირების განყოფილების უფროსი, რომელიც აღმოჩნდა შპს „არქი 4-ის“ მფლობელის, კლარა ონიანის შვილი. შესაბამისად, მიღება-ჩაბარების კომისიის წევრი და მიმწოდებელი არიან ურთიერთდაკავშირებული მხარეები.

ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობის ეტაპზე, სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის წევრს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი მიმწოდებელთან. შესაბამისად დარღვეულია შესყიდვების კანონმდებლობის მოთხოვნები. აღნიშნული ურთიერთობების არსებობა გავლენას ახდენს ინტერესთა კონფლიქტში მყოფი პირების საქმიანობის პირობებსა და ეკონომიკურ შედეგებზე, რაც წარმოშობს მიმწოდებელი კომპანიის მიმართ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების რისკს.

<sup>54</sup> შპს „მშენი“ – 24.7 ათასი ლარი, ი/მ „ზაქრო მეშველიანი“ 25.7, შპს „სპექტრი“ – 25.8

<sup>55</sup> სატენდერო ღირებულება 31.3 ათასი ლარი.

<sup>56</sup> კომისიის 6 წევრი

## დასკვნა

ამდენად, მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული სამუშაოების მიღება-ჩაბარების პროცესი წარმართა იმგვარად, რომ ასფალტის საფარის მოწყობის სამუშაოებზე, მუნიციპალიტეტის საზედამხედველო კომისიის წევრი მონიტორინგს და კონტროლს უწევდა, მასთან ინტერესთა კონფლიქტში მყოფი მიმწოდებლის მიერ შესრულებულ სამუშაოებს.

**რეკომენდაცია №13:** მუნიციპალიტეტის მერიის (შესაბამისმა პასუხისმგებელმა პირებმა) არ დაუშვას ინფრასტრუქტურული სამუშაოების ზედამხედველობისა და მიღება-ჩაბარებისას, ინტერესთა კონფლიქტის პირობების დარღვევის ფაქტები. მუნიციპალიტეტმა გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს შესაბამისი სამართლებრივი ღონისძიებები.

## ზედმეტად ანაზღაურებული თანხა

**კრიტერიუმი:** შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელ კომპანიას შორის გაფორმებული შესყიდვის ხელშეკრულების თანახმად, ანგარიშსწორება ხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების აქტის და სხვა თანმდევი დოკუმენტების საფუძველზე. შემსყიდველი მიმწოდებელზე თანხების ანაზღაურებას ახდენს სახელშეკრულებო ღირებულების ფარგლებში.

**გამოვლენილი გარემოება:** 2017 წლის 6 ნოემბერს მუნიციპალიტეტმა ხელშეკრულება გაუფორმა შპს „მ.გ-ს“ ღელის კალაპოტის გაწმენდის სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებით<sup>57</sup>, ღირებულებით 29.4 ათასი ლარი.

2017 წლის 12 დეკემბერს მერიამ მიმწოდებელს ავანსად გადაურიცხა 8.8 ათასი ლარი. მიმწოდებელს წარდგენილი ჰქონდა საავანსო გადახდის საგარანტიო უზრუნველყოფა.

2018 წლის 28 თებერვალს შპს „მ.გ-მ“ დაასრულა ღელის გაწმენდითი სამუშაოები და მოითხოვა თანხის ანაზღაურება. 2018 წლის 20 მარტს მერიამ მიმწოდებელს გადაურიცხა სრული სახელშეკრულებო ღირებულება, 29.4 ათასი ლარი. თანხა ანაზღაურებული იქნა ისე, რომ მერიას არ დაუკავებია ავანსად გადარიცხული თანხის ოდენობა. შესაბამისად, მერიამ მიმწოდებელს თანხები აუნაზღაურა სახელშეკრულებო ღირებულების ზევით, სულ ზედმეტად ანაზღაურებულია 8.8 ათასი ლარი.

<sup>57</sup> ხელშეკრულება №129, №AT170011220

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში მიმწოდებელს არ ჰქონდა თანხა ბიუჯეტში დაბრუნებული. მიუხედავად იმისა, რომ თანხის ზედმეტად გადარიცხვიდან გასული იყო 5 თვეზე მეტი, მუნიციპალიტეტს არ მოუთხოვია არც მიმწოდებლისაგან და არც გარანტორი კომპანიისაგან ბიუჯეტისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

### დასკვნა

ამდენად, მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი პირები შესაძლოა მოქმედებდნენ არა სამსახურებრივი, არამედ სუბიექტური ინტერესებიდან გამომდინარე, რამაც გამოიწვია საბიუჯეტო თანხების ზედმეტად გადარიცხვა.

**რეკომენდაცია №14:** მუნიციპალიტეტის მერიამ შეისწავლოს მიმწოდებელზე თანხის ზედმეტად გადარიცხვის ფაქტი, გამოავლინოს პასუხისმგებელი პირები და მათ მიმართ გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. ასევე უზრუნველყოს ზედმეტად გადარიცხული თანხის ბიუჯეტში დაბრუნება.

### მონეტარული ზღვრების დარღვევა

**კრიტერიუმი:** მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, გამარტივებული შესყიდვა არის შესყიდვის საშუალება, რომელიც გამოიყენება 5000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვის დროს<sup>58</sup>. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ერთგვაროვანი საქონლის, მომსახურების ან სამუშაოს შესყიდვა განიხილება ერთ შესყიდვად, თუ ისინი ფინანსდება ერთი წყაროდან. დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის ხელოვნურად დაყოფა შესყიდვის საშუალებების იმ მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით<sup>59</sup>.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016 წელს მუნიციპალიტეტმა გამარტივებული შესყიდვის გზით, გააფორმა 5 ხელშეკრულება, ჯამური ღირებულებით 22.5 ათასი ლარი<sup>60</sup>, ხოლო 2017 წელს - 2 ხელშეკრულება ჯამური ღირებულებით 7.3 ათასი ლარი<sup>61</sup>. აღნიშნული შესყიდვები მუნიციპალიტეტმა დააფინანსა ადგილობრივი ბიუჯეტით, კლასიფიკატორის კოდით 45200000. შესყიდვის ობიექტების ერთგვაროვნების შემთხვევაში, რომელიც მიეკუთვნება ერთიდაიმავე კლასიფიკატორის კოდს და შესყიდვების ჯამური

<sup>58</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-3 მუხლის ს<sup>1</sup> პუნქტი

<sup>59</sup> „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი მე-9, მე-3 პუნქტი

<sup>60</sup> CMR160053283 – 4.9 ათასი ლარი; CMR160072958 – 4.8 ათასი ლარი; CMR160091822 – 3.2 ათასი ლარი; CMR160110808 – 4.1 ათასი ლარი; CMR160173540 – 5.5 ათასი ლარი

<sup>61</sup> CMR170045548 – 2.5 ათასი ლარი; CMR170138824 – 4.8 ათასი ლარი

ღირებულება სცილდება 5000 ლარს, ცხადდება ტენდერები. მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვები მიეკუთვნებოდა ერთგვაროვან ობიექტებს<sup>62</sup>, შესაბამისად მათი შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული ელექტრონული ტენდერების შესყიდვის საშუალებით, რაც ეკონომიის შესაძლებლობას მისცემდა.

აღსანიშნავია, რომ გამარტივებული შესყიდვის დროს მიწოდების ფასი დგინდება არაკონკურენტულ გარემოში, მხარეების მოლაპარაკების საფუძველზე. ხელშეკრულების ფასი შეიძლება განსხვავდებოდეს საბაზრო ღირებულებისაგან და შეიცავს საბიუჯეტო თანხების არაეკონომიური ხარჯვის რისკებს.

### დასკვნა

ამდენად, 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესი წარმართა იმგვარად, რომ არასწორად გამოიყენა შესყიდვის საშუალება. მონეტარული ზღვრებისათვის თავის არიდების მიზნით, 7 შემთხვევაში ხელოვნურად დაყო ერთგვაროვანი სამუშაოები და ნაცვლად ტენდერისა, 29.8 ათასი ლარის სამუშაოები შეისყიდა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. აღნიშნულით მუნიციპალიტეტმა დაარღვია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები და დაკარგა სატენდერო ეკონომიის მიღების შესაძლებლობა.

<sup>62</sup> ერთი შესყიდვა აღემატებოდა 5000 ლარს, თუმცა საფუძველად მითითებული აქვს მონეტარული ზღვრების დაცვით, გამარტივებული შესყიდვით ხელშეკრულების გაფორმება

## მუნიციპალიტეტის დაფუძნებული იურიდიული პირები

**კრიტერიუმი:** მუნიციპალიტეტს თავისი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით, უფლება აქვს, დააფუძნოს ა(ა)იპ/შპს, რომელიც ორგანიზებას გაუწევს მისი უფლებამოსილების სფეროში განსახორციელებელ ერთობლივ ღონისძიებებს<sup>63</sup>. იურიდიული პირების შექმნის საფუძველი უნდა იყოს სათანადოდ დასაბუთებული და არგუმენტირებული. თვითმმართველი ერთეული იურიდიულ პირებს აფინანსებს სუბსიდიით, რომელიც უნდა გაიცეს რაციონალურობის პრინციპის დაცვით. შესაბამისი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით, დამფუძნებელი უზრუნველყოფს დაწესებულებების საქმიანობის შეფასებას, აგრეთვე მათი შემოსავლებისა და ხარჯების კონტროლს.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელების 27%-ს სუბსიდია შეადგენს. აღნიშნულ პერიოდში სუბსიდიის ხარჯმა მოიცვა 2 733.7 ათასი ლარი, მათ შორის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ 15 იურიდიულ პირზე<sup>64</sup>, დახარჯულია 2,643.3 ათასი ლარი<sup>65</sup>.

ცხრილი №3: მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსების შესახებ  
(ათასი ლარი)

№	ა(ა)იპ/შპს-ის დასახელება	2016 წელი	2017 წელი
1	ა(ა)იპ ფერმერული მომსახურების სერვისცენტრი	47.8	45.0
2	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონული ცენტრი	56.8	58.9
3	ა(ა)იპ კომუნალური მომსახურება და კეთილმოწყობა	95.6	212.1
4	ა(ა)იპ თეში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი	105.8	95.2
5	ა(ა)იპ ლენტეხის საბიბლიოთეკო გაერთიანება	98.4	89.9
6	ა(ა)იპ ტურიზმის განვითარების ცენტრი "ლაილა"	42.2	29.0
7	ა(ა)იპ გარემოს დაცვის და ეკოლოგიური განვითარების ცენტრი	24.9	20.7
8	ა(ა)იპ ლ.მუსელიანის სახ. მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	59.2	58.9
9	ა(ა)იპ ბაგა-ბაღების გაერთიანება	270.1	240.7
10	ა(ა)იპ სანიტარულ-ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობა	30.2	25.5
11	ა(ა)იპ სასპორტო სკოლების გაერთიანება	107.9	110.9

<sup>63</sup> ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მუხლი 20, პუნქტი 1 და 2.

<sup>64</sup> 14 ა(ა)იპ და 1 შპს

<sup>65</sup> 2016 წელი - 1 272.8 ათასი ლარი, 2017 წელი - 1 370.5 ათასი ლარი.

12	ა(ა)იპ კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება	247.4	269.9
13	ა(ა)იპ ჯ. მეშველიანის სახელობის კულტურის ცენტრი	29.2	65.2
14	ა(ა)იპ ო.ლიპარტელიანის სახ. ოლიმპიური მომზადების ცენტრი	52.1	48.4
15	შპს გზა -2015	5.0	0.0
<b>სულ</b>		<b>1,272.6</b>	<b>1,370.3</b>

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებდა 14 ა(ა)იპ, რომელთაც ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით მიღებული აქვთ 2,638.3 ათასი ლარი. 2016 წელს ა(ა)იპ-ებში დასაქმებული იყო 745, ხოლო 2017 წელს - 707 პირი. სუბსიდიის ძირითადი ნაწილი, 94% დაიხარჯა ამ მოსამსახურეთა ხელფასებზე.

სუბსიდიის დაგეგმვის ეტაპზე, ა(ა)იპ-ებში მერიის მიერ არ გაგზავნილა საბიუჯეტო განაცხადის ფორმები, ასიგნებებისა და მომუშავეთა რიცხოვნობის საორიენტაციო ზღვრული მოცულობების მითითებით. მერიამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტური მტკიცებულებები იმისა (განგარიშებები და კალკულაცია), თუ რის საფუძველზე დაიგეგმა ა(ა)იპ-ებში სუბსიდიის მოცულობა. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებული 14 ა(ა)იპ-ის ბიუჯეტებში ისე დაიგეგმა და დამტკიცდა სუბსიდიის მაჩვენებელი, რომ დადგენილი არ იყო საბიუჯეტო ორგანიზაციების სამტატო განრიგი და მათი საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მოცულობა. გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის მიერ არ არის დაწესებული შესაფერისი და საკმარისი კონტროლის მექანიზმები, რითაც მოხდება დაფუნდებული ა(ა)იპ-ების მიერ განხორციელებული საქმიანობის შეფასება და სუბსიდიის ხარჯვის შესრულების კონტროლი. შესაბამისად, დაგეგმვაში არსებული ხარვეზები და სუსტი კონტროლის მექანიზმები წარმოშობს სხვადასხვა ხასიათის რისკის შემცველ გარემოებებს. აღნიშნულს ადასტურებს ის ფაქტი, რომ გამგეობაში/მერიაში და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნდებულ ა(ა)იპ-ებში დასაქმებული პირები ერთდროულად მუშაობენ 2 სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში და ორივეგან იღებენ ხელფასს. 2016-2017 წლებში გამოვლინდა 109 ფაქტი, როდესაც ერთიდაიმავე პირები ერთდროულად მუშაობდა 2 სხვადასხვა დაწესებულებაში, ერთიდაიმავე ან სხვადასხვა პოზიციაზე.

აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო შესაფერისი და საკმარისი რწმუნება იმისა, რამდენად მიზანშეწონილია ერთიდაიგივე პირების ერთდროულად დასაქმება სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, თუმცა მაღალი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლით მუნიციპალიტეტმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხზე.

### ა(ა)იპ „თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი“

2015 წლის 25 მაისს მუნიციპალიტეტმა დააფუძნა ა(ა)იპ „თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი“. წესდების თანახმად, იურიდიული პირის ფუნქციებს მიეკუთვნება: თემებში გამგებლის წარმომადგენლებისათვის დახმარების გაწევა საკრებულოს გადაწყვეტილებების აღსრულებაში, გამგეობის და საკრებულოს ურთიერთობების დარეგულირება მოსახლეობასთან, მოსახლეობის ინფორმირება თემებში მიმდინარე პროექტების შესახებ, მოსახლეობის ხელშეწყობა ბიუჯეტის საჯარო განხილვებში მონაწილეობის მისაღებად, კონტროლის გაწევა სოფლებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტებზე და სხვა.

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ „თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრის“ ფუნქციონირებისათვის დახარჯა 201.0 ათასი ლარი<sup>66</sup>. გამოყოფილი სუბსიდია სრულად დაიხარჯა მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურებაზე. 2016 წელს ა(ა)იპ-ში დასაქმებული იყო 75, ხოლო 2017 წელს - 37 პირი<sup>67</sup>.

აუდიტის ჯგუფმა მოსთხოვა ა(ა)იპ-ის შესაბამის პასუხისმგებელ პირებს წარმოედგინათ ინფორმაცია და დოკუმენტური მასალები, მათ მიერ 2016-2017 წლებში გაწეული საქმიანობის შესახებ. პასუხისმგებელი პირის განმარტების თანახმად, ისინი მოსახლეობას აწვდიდნენ ინფორმაციას მიმდინარე და მომავალში განსახორციელებელი პროექტების შესახებ, აკონტროლებდნენ თემებში მიმდინარე პროექტებს, სწავლობდნენ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის პრობლემებს. მუნიციპალიტეტმა ა(ა)იპ-ის მიერ გაწეული აღნიშნული საქმიანობის დასადასტურებლად, რაიმე სახის დოკუმენტური მტკიცებულებები ვერ წარმოგვიდგინა. აღსანიშნავია, რომ ა(ა)იპ-ის მიერ დებულებით განსაზღვრულ საქმიანობას ასრულებენ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურები.

### დასკვნა

ამდენად, ა(ა)იპ „თემში მოსახლეობასთან ურთიერთობის საკონსულტაციო ცენტრი“ ეწევა დუბლირებულ საქმიანობას. ამასთან დოკუმენტურად ვერ დასტურდება მათ მიერ განხორციელებული რაიმე სახის აქტივობები. მუნიციპალიტეტმა ვერ დაასაბუთა, აღნიშნული ა(ა)იპ-ის საქმიანობით რა დამატებით სარგებელს იღებს და რა აუცილებლობით არის გამოწვეული მისი ფუნქციონირება.

**რეკომენდაცია №15:** მუნიციპალიტეტმა შეისწავლოს მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მდგომარეობა. განსაზღვროს რამდენად პასუხობს მათი საქმიანობა

<sup>66</sup> 2016 წელი - 105.8 ათასი ლარი; 2017 წელი - 95.2 ათასი ლარი

<sup>67</sup> 2016 წელი 9 შტატთან და 66 შტატგარეშე, 2017 წელი 9 შტატთან და 28 შტატგარეშე



მუნიციპალიტეტის მიზნებსა და ამოცანებს. მნიშვნელოვანია განხორციელდეს მსგავსი ტიპის ა(ა)იპ-ის საქმიანობით მიღებული სიკეთისა და მათი ფუნქციონირებისათვის დახარჯული სახსრების ანალიზი. საჭიროების შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა უზრუნველყოს მსგავსი ტიპის იურიდიული პირებისა და მასში არსებული სამტატო ერთეულების ოპტიმიზაცია. აღნიშნული ხელს შეუწყობს საბიუჯეტო რესურსების ეკონომიურად და რაციონალურად ხარჯვას.

### ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგება

**კრიტერიუმი:** ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ მემორიალურ-ორდერული ან სხვა ფორმით ქალაქში ან ელექტრონული სისტემების (კომპიუტერ(ებ)ის) მეშვეობით, ბუღალტრული აღრიცხვის და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით. მემორიალური ორდერის შედგენა ხდება სამეურნეო მოვლენის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტების წარმოდგენის საფუძველზე. მემორიალურ ორდერებში ანგარიშთა კორესპონდენცია ჩაიწერება სამეურნეო მოვლენის შინაარსის მიხედვით, მარტივი ან რთული გატარების სახით.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად<sup>68</sup>, დადგენილ ვადებში მოამზადოს პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგებები, სადაც უნდა აისახოს ინფორმაცია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობის შესახებ.

მუნიციპალიტეტი ვალდებულია კანონმდებლობის შესაბამისად<sup>69</sup>, დადგენილ ვადებში ჩაატაროს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ინვენტარიზაცია. დადგენილი წესის შესაბამისად, ინვენტარიზაციას ექვემდებარება ორგანიზაციის ბალანსზე რიცხული აქტივები და ვალდებულებები, აგრეთვე ბალანსის საცნობარო მუხლებში აღრიცხული საოპერაციო იჯარით აღებული ძირითადი აქტივები, პასუხსაგებ შენახვაზე მიღებული მატერიალური ფასეულობები, ხარჯებში ჩამოწერილი ექსპლუატაციაში მყოფი მატერიალური მარაგები, ამორტიზებული ძირითადი აქტივები. ორგანიზაციაში ინვენტარიზაციის ჩატარების მიზნით, ხელმძღვანელის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე, იქმნება საინვენტარიზაციო კომისია. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, საბიუჯეტო ორგანიზაციაში აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება

<sup>68</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის №364 ბრძანება „ავტონომიური რესპუბლიკების ბიუჯეტებისა და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“.

<sup>69</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის №605 ბრძანება „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის“ დამტკიცების შესახებ“.

სავალდებულოა ყოველწლიურად, საბიუჯეტო წლის ბოლოს, გარდა უძრავი ქონებისა, რომლის ინვენტარიზაცია ხორციელდება 3 წელიწადში ერთხელ მაინც.

**გამოვლენილი გარემოება:** 2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტში არ ხორციელდებოდა სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარებები. არ წარმოებდა ფინანსური ოპერაციების აღსარიცხავად სინთეზური და ანალიზური აღრიცხვა. მთავარი წიგნი და ბრუნვათა უწყისი არ არის ნაწარმოები, ხოლო მემორიალური ორდერები შედგენილია არასრულად. შესაბამისად მუნიციპალიტეტში ბუღალტრული აღრიცხვა პრაქტიკულად არ იწარმოება.

მუნიციპალიტეტს 2016-2017 წლებში არ შეუდგენია ორგანიზაციის პერიოდული და წლიური ფინანსური ანგარიშგება. შედეგად ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ წარედგინება ზუსტი და სრული ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ფინანსური მდგომარეობის შესახებ. შედეგად, ორგანიზაციაში არ ხორციელდება ფინანსური და არაფინანსური აქტივების, დებიტორ-კრედიტორების, ვალდებულებების, კაპიტალისა და ფულადი სახსრების მოძრაობის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების აღრიცხვა, აგრეთვე არ ხორციელდება არაფინანსური აქტივების მიღება-გასავლის აღრიცხვა და მასზე მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ცვეთის დარიცხვა<sup>70</sup>.

2016-2017 წლებში მუნიციპალიტეტში არ ჩატარებულა ძირითადი საშუალებების და მატერიალური ფასეულობების ინვენტარიზაცია. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მუნიციპალიტეტში ფინანსური და არაფინანსური აქტივების დაცულობაზე კონტროლი არ არის სათანადოდ დაწესებული. შედეგად, არსებობს რისკი, რომ შეუმჩნეველი დარჩეს მუნიციპალიტეტის კუთვნილი ქონების დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევები და არ მოხდეს შესაბამისი რეაგირება.

**რეკომენდაცია №16:** მუნიციპალიტეტის მერიამ სასწრაფოდ უზრუნველყოს ბუღალტრული აღრიცხვის მოწესრიგება. ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ მუნიციპალიტეტმა გაატაროს კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები.

<sup>70</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 25 სექტემბრის №6152 ბრძანება

## შიდა აუდიტი

**კრიტერიუმი:** „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, შიდა აუდიტის სუბიექტი ანგარიშვალდებულია დაწესებულების ხელმძღვანელის წინაშე და დაწესებულების სხვა სუბიექტებისგან ფუნქციურად დამოუკიდებელია. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციურად დამოუკიდებელია ასევე შიდა აუდიტის დაგეგმვის, განხორციელებისა და ანგარიშგების პროცესში.

მუნიციპალიტეტის წარმატებული საქმიანობისათვის მნიშვნელოვანია სისტემის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული შიდა აუდიტის სამსახურის შექმნა. შიდა აუდიტის განყოფილების მიზანია მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის სრულყოფა, ფინანსების მართვის გაუმჯობესება, მატერიალური ფასეულობების ხარჯვისა და გამოყენების კანონიერების, მიზნობრიობის დაცვა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა; მერიის სტრუქტურული ერთეულების და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების შიდა აუდიტორული შემოწმება; მოსალოდნელი დარღვევების, სამსახურებრივი გადაცდომების პრევენცია, რისკვაჭტორების გამოვლენა, ანალიზი და მათი მიზეზების აღმოფხვრის მიზნით შესაბამისი რეკომენდაციების გაცემა.

შიდა აუდიტის სამსახურის რეკომენდაციები უნდა დაეხმაროს ხელმძღვანელობას ორგანიზაციაში ჩამოყალიბოს ისეთი სისტემები, რომელიც გააუმჯობესებს ფინანსების მართვას, ორგანიზაციის აქტივების დაცვას, ბუღალტრული აღრიცხვის სათანადო წარმოებას და სხვ. რეკომენდაციების დახმარებით ორგანიზაციამ უნდა შეძლოს ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის დანერგვა, რომლითაც შესაძლებელი იქნება ტექნიკური და ფუნქციური ხარვეზების აღმოჩენა, თაღლითობისა და შეცდომების გამოვლენა და პრევენცია.

ორგანიზაციის ხელმძღვანელი, თავის მხრივ, ვალდებულია გაითვალისწინოს შიდა აუდიტის ანგარიშში ასახული რეკომენდაციები და უზრუნველყოს მისი დროული შესრულება.

**გამოვლენილი გარემოება:** მუნიციპალიტეტში შექმნილია შიდა აუდიტის სამსახური. 2016-2017 წლებში შიდა აუდიტის სამსახურმა სულ ჩაატარა 14 აუდიტორული შემოწმება<sup>71</sup>. შიდა აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტებით გამოვლენილია სხვადასხვა სახის დარღვევა-ნაკლოვანებები, რომელთა გამოსწორების მიზნით გაცემულია ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები. თუმცა სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების შედეგად,

<sup>71</sup> 2016 წელი - 11 აუდიტი, 2017 წელი - 3 აუდიტი

ვერ გამოვლინდა კონტროლის მექანიზმების ის სისუსტეები და ხარვეზები, რომელიც დაფიქსირდა მიმდინარე აუდიტის შედეგად.

შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუსწავლია გამგეობის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა. სამსახურს არ შეუფასებია შეესაბამება თუ არა მუნიციპალიტეტის საქმიანობა დაგეგმილ მიზნებსა და ამოცანებს, რამდენად კანონიერად, მიზნობრივად და ეფექტიანად ხდება დაფინანსების გამოყენება, დანერგილია თუ არა ადეკვატური მართვისა და კონტროლის მექანიზმები და სხვ. შესაბამისად არ განუხორციელებია შესაძლო დარღვევებისა და ხარვეზების იდენტიფიცირება.

შიდა აუდიტის სამსახურს ევალება ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შემოწმება და მოქმედ სტანდარტებთან მათი შესაბამისობის შეფასება. მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში საბუღალტრო წარმოება პრაქტიკულად არ არსებობს და ორგანიზაცია არ ადგენს მოქმედი კანონმდებლობით დამტკიცებულ ბუღალტრული ანგარიშგების ფორმებს (ბალანსი და ბალანსის დანართი ფორმები), შიდა აუდიტის სამსახურს არ შეუფასებია ბუღალტრული ოპერაციების სისწორე და არც გამგეობისათვის მიუმართავს რეკომენდაციით ფინანსური ანგარიშგების მომზადების თაობაზე.

შედეგად, შიდა აუდიტის სამსახურს, თავისი საქმიანობით, არ შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი მუნიციპალიტეტის რესურსების ეკონომიურად გამოყენებაში, გამგეობის წინაშე არსებული ამოცანების ეფექტურად შესრულებასა და მუნიციპალიტეტის დასახული მიზნების მიღწევაში.

**რეკომენდაცია №17:** ლენტეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა საქმიანობა წარმართოს ისე, რომ უზრუნველყოს თვითმმართველი ერთეულის საქმიანობის გაუმჯობესება არსებული რისკების შეფასებითა და მოქმედ კანონმდებლობასა და მარეგულირებელ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის გზით. ამასთანავე, შეიმუშაოს რეკომენდაციები მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეკონომიურობის, ეფექტიანობისა და პროდუქტიულობის გაზრდის მიზნით.

### აუდიტის ანგარიშის გასაჩივრების წესი

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, აუდიტის ანგარიში ჩაბარებიდან 20 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

აუდიტორთა ხელმოწერა:  
სახელი, გვარი

გიორგი შურღია  
(წამყვანი აუდიტორი)

პაატა კუბლაშვილი  
(აუდიტორი)

ზურაბ ტუსკაძე  
(აუდიტორი)

ხელმოწერა

